2595

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი 25 მარტი 1941 წ. № 70 (6075) ფასი 10 კაპ.

## სოციალისტური შეჯიბრების გარეშე არ უნდა დარჩეს არცერთი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, მტს-ი, ბრიგადა, რგოლი

## გადავაქციოთ რკინიგზის ტრანსპორტის პოლიტგანყოფილებანი პარტიის მებრძოლ ორგანოებად

ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა წლითი-წლობით აუმჯობესებენ რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობას. 1940 წელს 1938 წელთან შედარებით ტვირთების მიმოქცევა რკინიგზებზე 10,3 პროცენტით გადიდდა. ეს წარმატებები კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ რკინიგზის ტრანსპორტი თავისუფალი იყოს სერიოზული ნაკლოვანებებისაგან, რომლებიც სამართლიანად გაკრიტიკებულ იქნა XVIII პარტკონფერენციაზე.

რკინიგზის ტრანსპორტის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში განსაკუთრებით დიდია. მაგრამ ჯეროვანი შეხმატკბილება მის ვეებერთელა მეურნეობაში დღემდე არ არის. იგი ჯერ კიდევ ვერ გახდა მკაფიოდ მომუშავე, წესიერად მომქმედი, კარგი საათის მექანიზმივით ზუსტი კონვეიერი. ხოლო, ხომ სწორედ ამ შეხმატკბილებაშია, როგორც ამხანაგი სტალინი მიგვითითებდა, დისციპლინის დედაარსი! გრძელდება ავარიები, არ სრულდება ვაგონების მიმოქცევის დაწესებული ნორმები, ირღვევა მატარებლების მიმოსვლის გრაფიკები, ხდება „გაჭედვა" კვანძებსა და დამხარისხებელ სადგურებზე, სერიოზული ხარვეზებია მგზავრთა მომსახურებაში — ყოველივე ეს მძიმე ტვირთად აწევა რკინიგზის ტრანსპორტს.

ამ ნაკლოვანებებში მცირე ბრალი როდი მიუძღვით ტრანსპორტის პოლიტგანყოფილებებს, რომელთაგან ბევრნი ყელამდე ჩაეფლნენ კანცელარიულ ნაჯღაბნში, მოსწყდნენ ცხოვრებას, ხოლო აქაიქ დაადგნენ ნაკლოვანებათა მიფუჩეჩების გზას ნაცვლად მათთან გადამწყვეტი ბრძოლისა. ასეთი მდგომარეობის ერთერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს რკინიგზების პოლიტგანყოფილებათა მოწყვეტა ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციებისაგან, საქ. კ. პ. (ბ) რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტებისაგან.

„პირდაპირ და აშკარად უნდა ითქვას, — ამბობდა ამხ. მალენკოვი თავის მოხსენებაში XVIII სრულიად-საკავშირო პარტკონფერენციაზე, — რომ ტრანსპორტის, განსაკუთრებით რკინიგზის ტრანსპორტის პოლიტგანყოფილებანი სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. პოლიტგანყოფილებანი კანცელარიულად მუშაობენ, მუშაობის ნაცვლად მრავალრიცხოვან ცნობებს აგროვებენ ადგილებიდან, უამრავ სატელეგრაფო და წერილობით დირექტივებს გზავნიან".

განა შეიძლება ლაპარაკი ნამდვილ ბოლშევიკურ ოპერატიულობაზე პოლიტგანყოფილებათა მუშაობაში, თუ მათი კანცელარიებიდან ადგილებზე, ხაზზე ქაღალდის განუწყვეტელი ნაკადი მიდის? ჰკითხეთ პოლიტგანყოფილების რომელიც გნებავთ მუშაკს, ძირეულ პარტიულ მუშაკს ტრანსპორტზე, და ისინი გეტყვიან, რომ მათი სამუშაო დღე თითქმის მთლიანად უნდება ყოველნაირი დეპეშების, ცირკულარული წერილების, განკარგულებების წაკითხვასა და განხილვას, ცნობების, ანგარიშების შედგენას და ა. შ.

პარტიული აქტივის კრებებზე, სადაც პოლიტგანყოფილებების ასეთი საქმიანობა მკაცრად, ბოლშევიკურად გააკრიტიკეს, საკმაოდ ბევრი გასაოცარი მაგალითი მოჰყავდათ. პერმის გზის ჩუსოვსკაიას განყოფილების პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილემ საგზაო პოლიტგანყოფილებაში გაგზავნა ორი დეპეშა, რომლებიც 1.140 და 240 სიტყვისაგან შესდგებოდა. დეპეშების გადაცემა ორ დღეს გრძელდებოდა, მატარებელი კი ჩუსოვსკაიადან ქ. მოლოტოვამდე 5 საათში მიდის. კალუგის განყოფილების პოლიტგანყოფილება, რომელიც მოსკოვ-კიევის გზის სამმართველოდან კილომეტრნახევარ მანძილზეა, გზის პოლიტგანყოფილებიდან ღებულობდა 600-1.120 სიტყვისაგან შემდგარ დეპეშებს. იყო ისეთი დეპეშებიც, რომელთა გადაცემა ორორ დღეღამეს გრძელდებოდა, მაშინ როდესაც შიკრიკი საჭირო ცნობების მიტანას 20 წუთში შესძლებდა.

ქაღალდის ნაკადი აღრჩობს საკვანძო პარტიულ კომიტეტებს, უსპობს მათ შესაძლებლობას ჯეროვნად იბრძოლონ შეხმატკბილებული მუშაობისათვის რკინიგზის კვანძებში, გამოარკვიონ, რას უნდა მიაპყრონ კომუნისტთა ყურადღება, როგორ უნდა მოეწყოს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა.

ქაღალდები თვალებზე ეფარებიან მუშაკებს, ჩრდილავენ ცოცხალ საქმეს. ამიტომ ხომ არ არის, რომ პოლიტგანყოფილებებში და გზათა სახალხო კომისარიატის პოლიტსამმართველოში მეტნაწილად ძნელია მიიღო პასუხი იმ კითხვებზე, რომლებსაც აყენებს ცხოვრება, პარტიული მუშაობის პრაქტიკა?

საქ. კ. პ. (ბ) წესდებაში ნათლად არის ნათქვამი, რომ ტრანსპორტის პოლიტორგანოები ვალდებული არიან მჭიდრო კავშირი იქონიონ ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებთან. სინამდვილეში კი ასეთი კავშირი არ ხორციელდებოდა. დაივიწყა რა თავისი მოვალეობა, პოლიტგანყოფილებათა ზოგიერთი მუშაკი დაადგა ტერიტორიული პარტორგანიზაციების უგულებელყოფის გზას. ტრანსპორტის პოლიტგანყოფილებების და უწინარეს ყოვლისა გზათა სახალხო კომისარიატის პოლიტსამმართველოს ზოგიერთი ხელმძღვანელი, წინააღმდეგ პარტიის წესდებისა, ცდილობდა შეექმნა „განსხვავების ზოლი" პოლიტგანყოფილებებსა და ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებს შორის.

შეიძლება დავასახელოთ საკმაოდ ბევრი ფაქტები, როდესაც პოლიტგანყოფილებათა მუშაკები აშკარა წინააღმდეგობას უწევდნენ ტერიტორიული პარტორგანიზაციების სურვილს დახმარებოდნენ რკინიგზის ტრანსპორტს. მაგალითად, მოსკოვ-კიევის გზის პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. სიმონოვი აგდებულად მოეპყრო პარტიის კალუგის ქალაქკომის გადაწყვეტილებებს; საქმე იქამდე მივიდა, რომ ქალაქკომის მდივანი იძულებული გახდა პარტიის საოლქო კომიტეტში შეეტანა საჩივარი პოლიტგანყოფილების უფროსის უდისციპლინობაზე. პოლიტგანყოფილების მუშაკები ულან-უდეში ცდილობდნენ აეკრძალათ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტებისათვის რკინიგზის კვანძის პირველადი პარტორგანიზაციების საქმეებში ჩარევა. სამხრეთ-დასავლეთის რკინიგზის სადგურ ნეჟინის საკვანძო პარტკომის მდივანმა ამხ. კუპჩიკმა (რომელიც ამჟამად განთავისუფლებულია ამ სამუშაოდან) უკვე კონფერენციის შემდეგ გაუწია წინააღმდეგობა პარტიის ქალაქკომის ჩარევას კვანძის საქმეებში.

რა თქმა უნდა, ისეთები, როგორც კუპჩიკი და მისი მსგავსნი, არ შეიძლება ახასიათებდნენ პოლიტგანყოფილებათა მუშაკების მთელ შემადგენლობას. პოლიტგანყოფილებების მუშაკთა უმრავლესობა, ტერიტორიული პარტორგანიზაციების დახმარებით ხვდება თავისი მუშაობის მეთოდების მცდარობას, რომელიც XVIII სრულიად - საკავშირო პარტკონფერენციამ გამოამჟღავნა. მით უფრო საჭიროა გადაჭრით ვამხილოთ ისინი, ვისაც არ სურს შეიგნოს ეს თავისი შეცდომები და ასე თუ ისე წინააღმდეგობას უწევს კრიტიკას, წინააღმდეგობას უწევს კონფერენციის გადაწყვეტილებათა რეალიზაციას.

ხოლო ასეთი პოლიტიკურად დამპალი ადამიანები მოიპოვებიან პოლიტგანყოფილებათა მუშაკებს შორის. მათი დამოკიდებულება XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებისადმი არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნას სხვანაირად, თუ არა როგორც ანტიპარტიული. ამ შემთხვევაშიც, როგორც უკვე ვიუწყებოდით „პრავდაში", ცუდი მაგალითი მისცეს გზათა სახალხო კომისარიატის პოლიტსამმართველოს ხელმძღვანელებმა, რომლებმაც ცხადად დაგვანახვეს, რომ არ მიიღეს კონფერენციასა და პარტაქტივის კრებებზე მათი მისამართით გაჩაღებული კრიტიკა, დაგვანახვეს, რომ წინააღმდეგობას უწევენ ამ კრიტიკას, ამასთან ფრიად საეჭვო მეთოდებით.

რკინიგზელთა მიღებაზე, რომელიც შესდგა კრემლში 1935 წელს, ამხანაგი სტალინი მოუწოდებდა მათ გადაჭრით გამოემჟღავნებინათ ნაკლოვანებანი თავიანთ მუშაობაში გაბედული ბოლშევიკური თვითკრიტიკის გზით. ამხანაგი სტალინი მოუწოდებდა გაეწიათ კრიტიკა აშკარად, პატიოსნად, ბოლომდე, როგორც ბოლშევიკებს შეჰფერის. უკრიტიკოდ არ შეიძლება წინსვლა.

სამწუხაროდ, რკინიგზის ტრანსპორტის პოლიტგანყოფილებათა ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი ივიწყებს ამ ჭეშმარიტებას.

ბრძოლა რკინიგზის ტრანსპორტის მკაფიო მუშაობისათვის მთელი პარტიის სისხლხორცეული საქმეა. ეს ნათელი უნდა იყოს ყოველი ბოლშევიკისათვის, სადაც არ უნდა მუშაობდეს იგი. დატვირთვისა და გადმოტვირთვის გეგმების შესრულება, საგზაო სამუშაოები, მისასვლელი გზების ჯეროვან წესრიგში შენახვა, ახალი გზების მშენებლობა, მგზავრთა მომსახურება, მოძრავი შემადგენლობის რემონტი, გზების ურთიერთობა კლიენტურასთან, პარტიულ-მასობრივი მუშაობა — ყოველივე ეს შეიძლება წარმატებით განხორციელდეს მხოლოდ ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური დახმარებითა და მუდმივი კონტროლით.

XVIII სრულიად - საკავშირო პარტიულმა კონფერენციამ მიგვითითა იმაზე, რომ საჭიროა **„ბოლო მოვუღოთ რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის პოლიტგანყოფილებათა მოწყვეტა ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციებისაგან. პოლიტგანყოფილებანი ანგარიშვალდებულნი უნდა იყვნენ პარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტების წინაშე.**

პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტები ვალდებული არიან მიაღწიონ პოლიტგანყოფილებათა მუშაობაში კანცელარიული მეთოდების ლიკვიდაციას და გადააქციონ ისინი პარტიის მებრძოლ ორგანოებად, რომლებსაც გული შესტკივათ ტრანსპორტის მუშაობისათვის და რომლებიც აქტიურად ეხმარებიან ტრანსპორტის აღმავლობის საქმეს".

დირექტივა ნათელია. პარტიის ყოველმა საოლქო და საქალაქო კომიტეტმა პოლიტგანყოფილებასთან ერთად ცხოვრებაში უნდა გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი რკინიგზის ტრანსპორტზე პარტიული მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

ჩვენს ქვეყანას სამართლიანად ეწოდება დიდი სარკინიგზო სახელმწიფო. საკმარისია შეხედოთ რუკას, რომ წარმოდგენა მიიღოთ იმ კოლოსალურ სივრცეებზე, რომლების გადალახვაც გვიხდება რკინიგზების საშუალებით. ძნელია ზედმეტად შეაფასო რკინიგზის ტრანსპორტის მნიშვნელობა სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაშიც. ჩვენში ტყუილად კი არ ამბობენ, წითელარმიელი და რკინიგზელი ღვიძლი ძმები არიანო.

რომ კიდევ უფრო ამაღლონ დიდი სარკინიგზო სახელმწიფოს ღირსება, ტრანსპორტის ბოლშევიკებმა გადაჭრით უნდა დასძლიონ ნაკლოვანებანი თავიანთ მუშაობაში, შესცვალონ თავიანთი საქმიანობის მეთოდი. ტერიტორიული პარტორგანიზაციების ვალია აქტიურად დაეხმარონ იმას, რომ უმოკლეს ვადაში ყველა პოლიტგანყოფილება ტრანსპორტზე პარტიის მებრძოლი ორგანო გახდეს.

**„პრავდის" მოწინავე, 24/III.**

## ვიმუშავებთ უფრო ნაყოფიერად

ჩვენი კოლმეურნეობის წევრები გულდასმით ეცნობიან მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრების მიმართვას სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების უხვი მოსავლის მოღებისათვის სოცშეჯიბრების მოწყობის შესახებ. ჩავებით რა სოცშეჯიბრებაში, ჩვენ უკვე გავშალეთ ბრძოლა იმ პრემიისა და გარდამავალი დროშის მიღებისათვის, რომლებიც გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად დაწესებულია საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს დადგენილებით.

შარშან ჩვენ მთლიანად ვერ შევასრულეთ ჩაის კრეფის გეგმა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარებას, დავაგვიანეთ პლანტაციებში მინერალური სასუქების შეტანა, გატარებული არ გვქონდა წამახალისებელი ღონისძიებანი. შარშან დიმიტრი კიპსელიძის ბრიგადამ ჰექტარზე საშუალოდ 4.772 კილოგრამი ჩაი მიიღო, პირველი ხარისხის ფოთლის რაოდენობა 85 პროცენტამდე აიყვანა; სულეიმან თურმანიძის ბრიგადას გეგმის არცერთი მაჩვენებელი არ შეუსრულებია, ანაზღაურება კი შრომადღეზე ორივემ თანაბრად მიიღო.

კოლმეურნეები აღფრთოვანებული არიან იმით, რომ პარტიისა და მთავრობის 1941 წლის 13 მარტის დადგენილება ბოლოს უღებს ამ გათანაბრებას. ჩვენ ვკისრულობთ ვალდებულებას წელს მივიღოთ ჰექტარზე საშუალოდ 4.800 კილოგრამი ჩაის მაღალხარისხოვანი ფოთოლი, ციტრუსოვანთა თვითეულ ხეზე 450 ცალი ნაყოფი, მოვაწყოთ მეფრინველეობის ფერმა, გავადიდოთ პირუტყვის სულადობა და მისი პროდუქტიულობა.

მაღალხარისხოვნად დავამთავრებთ ჩაის პლანტაციების გადაბარვას სასუქის შეტანით. შარშან ეს სამუშაო სანახევროდაც არ გვქონდა შესრულებული. ციტრუსებში შევგვაქვს მინერალური სასუქები და ნაკელი სრული დოზით. ჩვენი კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი წელს 1.020 ათას მანეთს გადააჭარბებს. შრომის ანაზღაურების ახალი წესი კიდევ უფრო აამაღლებს კოლმეურნეთა კეთილდღეობას.

სოცშეჯიბრებაში ვიწვევთ სოფ. აჭყვის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერს". არ დავზოგავთ ჩვენს ძალასა და ენერგიას პირველობის მოსაპოვებლად.

**ზ. ჩხარტიშვილი**

ქობულეთის რაიონის სოფ. ულიანოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

## სიღნაღელთა მოწოდების საპასუხოდ

**ყვარელი („კომუნისტის" კორ.).** კასპის კოლმეურნეობა „ძმობის" წევრთა საერთო კრებაზე განიხილეს სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრების მიმართვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე რეზო მაღლაფერიძე, რომელმაც წინადადება შეიტანა მიმდინარე წელს გაშალონ ბრძოლა ჰექტარზე საშუალოდ 13 ცენტნერი ხორბლის, 25 ცენტნერი სიმინდის, 200 ცენტნერი კომბოსტოს, 70 ცენტნერი ყურძნის, 240 ცენტნერი ხილის, 200 ცენტნერი პომიდორის მოსაყვანად. ეს წინადადება კრებამ მოიწონა და სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება სოფ. ქვემოჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობასთან. კოლმეურნეობა „ძმობის" 8 ბრიგადა და 48 რგოლი ერთმანეთს შორის ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში.



გორის რაიონის ქვემო-ახალ-სოფლის მტს-ის ტრაქტორი „ჩტზ" სოფ. ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადის" ფართობში საგაზაფხულო ხნავს.

ფოტო რ. აკოფოვისა.

## უხვი პროდუქტების მიღების სტალინური კანონი

ახლა ჩვენს ხელთ არის უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტი — სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ". ეს არის კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და უხვი პროდუქტების მიღების სტალინური კანონი.

ავიღოთ ჩვენი კოლმეურნეობას მაგალითი. ჩვენ გვქონდა გათანაბრება შრომის ანაზღაურების საქმეში. 1940 წელს გ. მერებაშვილის ბრიგადამ ჰექტარზე საშუალოდ 28 ცენტნერი სიმინდი, 8 ცენტნერი ხორბალი, 500 ცენტნერი კომბოსტო, 240 ცენტნერი პომიდორი მოიყვანა. ორდენოსან შაქრო გიგაურის ბრიგადამ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 29 ცენტნერი სიმინდი, 9 ცენტნერი ხორბალი, 508 ცენტნერი კომბოსტო, 300 ცენტნერი პომიდორი. როგორც ვხედავთ, შაქრო გიგაურმა გაცილებით მეტი მოსავალი მოგვცა, ვიდრე გიორგი მერებაშვილმა. მოსავლისა და შემოსავლის განაწილება კი გამომუშავებული შრომადღეების კვალობაზე მოხდა და მხედველობაში არ იყო მიღებული მოსავლის რაოდენობა.

კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების ახალ წესს ჩვენი კოლმეურნეობის წევრები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ. იგი ჩვენში იწვევს უდიდეს ინტერესს მოვიყვანოთ მეტი მოსავალი, ხავითა და ბარაქით ავავსოთ კოლმეურნეთა ოჯახები. პარტიის, მთავრობის და პირადად დიდი სტალინის ყოველდღიურ მზრუნველობას, რაც ერთხელ კიდევ ნათლად გამოხატულია 1941 წლის 13 მარტის დადგენილებაში, ჩვენ ახალ-ახალი გამარჯვებების მოპოვებით ვუპასუხებთ.

**დიმიტრი აბალაკი**

გორის რაიონის სოფ. ბერბუკის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

## სოხუმის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე

**სოხუმი („კომუნისტის" კორ.).** 23 მარტს ქ. სოხუმში ჩატარდა სოხუმის რაიონის სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობების თავმჯდომარეების, პარტორგანიზაციების მდივნების, მოანგარიშეთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა, კოლმეურნეობების მოწინავე ადამიანთა რაიონული თათბირი, მიძღვნილი სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ა. წ. 13 მარტის დადგენილების განხილვისადმი. თათბირს 300-ზე მეტი კაცი დაესწრო.

„საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ" სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაზე მოხსენებით გამოვიდა პარტიის სოხუმის რაიკომის მდივანი ამხ. ე. ჯვებენავა.

სოფ. ბაბუშარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. წურწუმიამ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა დიდ სტიმულს იძლევა შრომის ანაზღაურების ახალი წესი. პარტიისა და მთავრობის ახალი დადგენილების საპასუხოდ ამ კოლმეურნეობის წევრებმა დაივალეს მიმდინარე წელს მიაღწიონ მაღალ მოსავალს, საშუალოდ ჰექტარზე აიღონ: გერანი—20 ტონა, სამსუნის ჯიშის თამბაქო—11 ცენტნერი და სიმინდი—20 ცენტნერი.

— კოლმეურნეებმა, ცალკეულმა ბრიგადებმა, — განაცხადა მან, — აიღეს ახალი ვალდებულებანი მოსავლიანობის ზრდის საქმეში. გასულ წელს კოლმეურნეობის წლიური შემოსავალი უდრიდა 600.000 მანეთს. წელს კი გავითვალისწინეთ ეს ციფრი ორჯერ და უფრო მეტად გავადიდოთ. სამსუნის ჯიშის თამბაქოს საშუალო მოსავლიანობას ჰექტარზე ჩვენ ავიყვანთ 7,5 ცენტნერამდე, სიმინდისა—17 ცენტნერამდე, კარტოფილისა — 100 ცენტნერამდე.

კოლმეურნეობა „დამკვრელის" თავმჯდომარემ ამხ. დიაჩენკომ, ილაპარაკა რა კოლმეურნეთა მიერ აღებულ ვალდებულებათა შესახებ, განაცხადა: — ჩვენმა კოლმეურნეებმა დამავალეს ამ თათბირზე განვაცხადო მათი ულრმესი მადლობა დიდი **სტალინისადმი.**

რაიმიგანის აგრონომმა ამხ. ჩატოვამ სთქვა, რომ 13 მარტის დადგენილება მასში იწვევს უდიდეს აღფრთოვანებასა და სტიმულს. მან სურვილი გამოსთქვა წავიდეს კოლმეურნეობაში სამუშაოდ. ის ენერგიულ აგრონომიულ მუშაობას გაუწევს სოფ. გულრიფშის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე სოფ. ვლადიმიროვკის კოლმეურნეობა „კიმის" თავმჯდომარე ამხ. ნოსიშევი, კოლმეურნეობა „სოვეტსკაია აბხაზია" თავმჯდომარე ამხ. ფრანგოპულო, გულრიფშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მოანგარიშე რუდნოვსკი, სოფ. ეშერის კოლმეურნეობის მოანგარიშე კაბიკიანი, თამბაქოს სპეციალისტი — ჩაჩა, სოფ. გულრიფშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. დავთიანი, მიწვანის გამგე — ცანავა და სხვ.

თათბირზე ვრცელი და შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ბარამია. მან თათბირის ყურადღება გაამახვილა 13 მარტის დადგენილების ფართოდ გაცნობის აუცილებლობაზე, შრომის ორგანიზაციის, კერძოდ, რგოლების უკეთ მოწყობის საკითხებზე, საკოლმეურნეო შრომის აღრიცხვის, სასოფლო - სამეურნეო სამუშაოთა გეგმების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულების და სხვ. საკითხებზე.

**გ. მერკვილაძე**

## თელაველ კოლმეურნეთა ვალდებულებანი

**თელავი („კომუნისტის" კორ.).** კოლმეურნეები მხურვალედ მიესალმებიან პარტიისა და მთავრობის დადგენილებას.

— ჩვენს კოლმეურნეობას ყველა საშუალება მოეპოვება მარცვლეულ კულტურათა მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის, — აცხადებს სოფ. ვარდისუბნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ბალანაშვილი, — მაგრამ ეს შესაძლებლობანი მთლიანად არ არის გამოყენებული. ჩვენი კოლმეურნეები აღფრთოვანებული არიან პარტიისა და მთავრობის 1941 წ. 13 მარტის დადგენილებით.

სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მოწოდების საფუძველზე ჩვენ ვკისრულობთ მივიღოთ ჰექტარზე საშუალოდ 12 ცენტნერი ხორბალი, 13 ცენტნერი ქერი, 40 ცენტნერი სიმინდი, 65 ცენტნერი ყურძენი, თვითეულ საფურავე ძროხაზე წლის განმავლობაში 1.100 ლიტრი რძე, თვითეულ დედა-ღორზე გავზარდოთ 15 გოჭი, 100 დედა-ცხვარზე შევინარჩუნოთ 99 ბატკანი, 100 ძროხასა და ფურ-კამეჩზე 98 ხბო და ზაქი.

— მახარებს, ახალ ენერგიასა და ძალას მმატებს ეს შესანიშნავი დადგენილება, — ამბობს ვარდისუბნის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის მესაქონლე ბრიგადირი ორდენოსანი ნიკო სუმბაძე. ამ დადგენილებას ჩვენი ბრიგადის წევრები ბოლშევიკური საქმიანობით ვუპასუხებთ. ვკისრულობ საფურავე ძროხაზე 1.000 ლიტრი რძის მიღებას და ნამატის მთლიანად შენარჩუნებას.

ცხოველი ინტერესით იხილავენ კოლმეურნეები აღნიშნულ დადგენილებას და სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანთა მოწოდებას 1941 წელს ყველა კულტურის მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

**ქ. აფხაზავა**

## დიდი საწარმოო აღმავლობა

ლანჩხუთელ კოლმეურნეთა შორის მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმართვამ სუბტროპიკული, ტექნიკური კულტურების უხვი მოსავლისათვის. პლანტაციებისა და ნათესების სანიმუშო მოვლისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

სოფ. აცანის სტალინის სახელობის მილიონერი კოლმეურნეობის წევრები გაეცნენ მიმართვას, ჩაებნენ სოცშეჯიბრებაში და თავის მხრივ იკისრეს ახალი ვალდებულებანი. ბრიგადირმა ალ. ჩხაიძემ აიღო ვალდებულება ჰექტარზე მიიღოს 3.200 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, პირველი ხარისხის ფოთოლი არანაკლებ 80 პროცენტისა, სახელმწიფოს ჩააბაროს 36.000 კილოგრამი ფოთოლი, ჰექტარზე მიიღოს 20 ცენტნერი სიმინდი, ბრიგადირმა თ. ჩხაიძემ კი — ჰექტარზე მიიღოს 2.800 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. წილოსანმა კოლმეურნეთა სახელით იკისრა ვალდებულება წელს ჰექტარზე საშუალოდ მიიღოს 2.950 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, სახელმწიფოს ჩააბაროს 250 ათასი კილოგრამი ჩაი, ერთ სრულასაკოვან მანდარინის ხეზე მიიღოს 500 ცალი ნაყოფი, უზრუნველჰყოს სრულმოსავლიან ვენახებში ჰექტარზე საშუალოდ სულ ცოტა 105 ცენტნერი ყურძნის მიღება, თითო საფურავე ძროხის საშუალო წლიური წველადობა აიყვანოს 600 ლიტრამდე და მთლიანად შეინარჩუნოს პირუტყვის ნამატი, აბრეშუმის ჰიის ერთ კოლოფზე მიიღოს 60 კილოგრამი პარკი. ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის კოლმეურნეობამ დასახა სამუშაოთა ჩატარების მტკიცე ვადები.

სოფ. აცანის კოლმეურნეობამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია სოფ. მამათის ბერიას სახელობის მილიონერი კოლმეურნეობა.

## იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი იოსუკე მაცუოკა მოსკოვში

23 მარტს სსრ კავშირზე გავლით მოსკოვში გაჩერდა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი იოსუკე მაცუოკა.

იაროსლავლის ვაგზალში ბ-ნ იოსუკე მაცუოკას შეხვდნენ: საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ს. ა. ლოზოვსკი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ვ. ნ. ბარკოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მე-2 შორეულ აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ამხ. ს. კ. ცარაპკინი, იაპონიის საელჩოს შემადგენლობა იაპონიის ელჩის ბ-ნ ი. ტატეკავას მეთაურობით, გერმანიის ელჩი გრაფი ფონ დერ შულენბურგი, იტალიის ელჩი ბ-ნი ა. როსო, უნგრეთის დესპანი ბ-ნი ჟ. დე კრიშტოფი, სლოვაკიის დესპანი ბ-ნი ფ. ტისო, ბულგარეთის დესპანი ბ-ნი ი. სტამენოვი, რუმინეთის დესპანი ბ-ნი გ. გაფენკუ.

## ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი იოსუკე მაცუოკა

24 მარტს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი იოსუკე მაცუოკა, რომელსაც თან ახლდა იაპონიის მოსკოველი ელჩი ბ-ნი ტატეკავა.

მიღებას დაესწრო ამხანაგი სტალინი.

საუბარმა ერთ საათზე მეტ ხანს გასტანა.

## პირველი კვარტალის გეგმა შეასრულეს

**წითელწყარო („კომუნისტის" კორ).** პატარა შირაქის ნავთის სარეწაოს მუშაკთა კოლექტივმა 23 მარტისათვის 103,4 პროცენტით შეასრულა ნავთის ამოღების პირველი კვარტალის გეგმა. კოლექტივმა მარტის 23 დღის გეგმა 120,3 პროცენტით შეასრულა.

## ქრონიკა

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ 1941 წ. 24 მარტს დაადგინა შემცირებულ იქნას ბილეთების ფასები რესპუბლიკურ თეატრებში, აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის თეატრებში და საქართველოს სსრ რაიონების თეატრებში.

სახკომსაბჭომ დაამტკიცა სათეატრო ბილეთების ახალი ფასები, რომლებიც შემოღებული იქნება 1941 წლის 27 მარტიდან.

O

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ დაამტკიცა საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობა სახალხო კომისრის ამხ. გ. ნ. ზამბახიძის თავმჯდომარეობით და ამხანაგების მ. ნ. ანანიევის (სახ. კომისრის მოადგილე), ი. დ. სულაძის (საექსპლოატაციო სამმართველოს უფროსი), ა. ა. გაბუნიას (კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსი) და ვ. ზ. გურბელაძის (საკოლმეურნეო წყალთა მომარაგების განყოფილების უფროსი) შემადგენლობით.

## მიღება ტექნიკოსთა სრულიად-საკავშირო სკოლაში

1941-42 სასწავლო წელს ტექნიკოსთა სრულიად - საკავშირო სკოლაში მიღებულ იქნება 600 კაცი. სკოლაში მიიღებიან განსაკუთრებით ნიჭიერი, 30 წელზე არა უხნესი ოსტატები და საამქროთა უფროსები, რომელთაც აქვთ საერთო განათლება საშუალო სკოლის 7 კლასის ფარგლებში მაინც და სულ ცოტა სამ წელიწადს უმუშავნიათ ოსტატად ან საამქროს უფროსად იმ სპეციალობაზე, რომლებსაც ტექნიკოსთა სკოლაში ასწავლიან. მისაღები გამოცდები დაიწყება 15 ივლისს და ერთ თვეს გაგრძელდება.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტმა დაამტკიცა მიმღები კომისია სკოლაში მისაღებთა კანდიდატურების შესარჩევად. 22 მარტი (საკდესი).

## საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება

24 მარტს ძერჟინსკის სახელობის კლუბში შესდგა საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება. კრება გახსნა საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. **გ. ცქიტიშვილმა.**

საპატიო პრეზიდიუმში კრებამ მქუხარე ოვაციით აირჩია ამხანაგი **სტალინი,** ამხანაგები **მოლოტოვი, ვოროშილოვი, კალინინი, კაგანოვიჩი, ანდრეევი, მიქოიანი, ჟდანოვი, ხრუშჩოვი, ბერია, შვერნიკი, ვოზნესენსკი, შჩერბაკოვი, მალენკოვი, ტიმოშენკო.**

მოხსენებით საქ. კ. პ. (ბ) სრულიად-საკავშირო XVIII კონფერენციის შედეგების შესახებ გამოვიდა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ა. მირცხულავა.**

ფართოდ შეჩერდა რა XVIII პარტკონფერენციის მიერ დასახულ გრანდიოზულ ამოცანებზე, ამხ. მირცხულავამ აღნიშნა, რომ ნაკლოვანებანი, რომლებიც აღინიშნა პარტკონფერენციაზე პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობაში მრეწველობასა და ტრანსპორტზე, მთლიანად ეხება აგრეთვე კომკავშირულ ორგანიზაციების მუშაობასაც. ამხ. მირცხულავა თავის მოხსენებაში განსაკუთრებით შეჩერდა საქართველოს, კერძოდ კი თბილისის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებებზე მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში.

ამხ. მირცხულავამ მიუთითა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც უნდა გაატარონ თბილისის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და საქ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 15 ამხანაგმა, მათ შორის: ამხ. გოგლიძემ (საქ. ალკკ თბ. ორგ. ლენინის რაიკომი), ხიზანაშვილმა (თბილისის საორთქლმავლო დეპო), გაბუნიამ (ამიერ-კავკასიის რკინიგზის თბ. განყოფილების პოლიტგანყოფილება), ალანიამ (სტალინის რაიკომი), ლომაძემ (საქ. ალკკ თბილისის კომიტეტი), შენგელიამ (მოლოტოვის რაიკომი), ჯალაღანიამ (თბილისის სტალინის სახ. ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხანა), ცქიტიშვილმა (საქ. ალკკ თბილისის კომიტეტი) და სხვ.

კომკავშირული აქტივის კრებამ მოხსენების გამო მიიღო სათანადო რეზოლუცია.

აქტივის კრებამ უდიდესი აღფრთოვანებით, მქუხარე ხანგრძლივი ოვაციით მიიღო მისალმება ამხანაგ **სტალინისადმი.**

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. **ე. ჩერქეზია.**

# სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატში

სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატმა მოახდინა საშტატო დისციპლინის მდგომარეობისა და ადმინისტრატიულ-სამმართველო აპარატის ხელფასის ფონდების ხარჯვის რევიზია. რევიზია მოხდა ბელორუსიის სს რესპუბლიკაში, ლენინგრადში, ტულისა და გორკის ოლქებში და სსრ კავშირის ფინსახკომის საშტატო სამმართველოში.

I.

**ბელორუსიის** სს რესპუბლიკაში ჩატარებული რევიზიით გამოირკვა, რომ ბელორუსიის სს რესპუბლიკის ფინსახკომმა, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 17 დეკემბრის № 2063 დადგენილების წინააღმდეგ, 1940 წელს შტატების რეგისტრაციის დროს დაუშვა ადმინისტრატიულ-სამმართველო აპარატისათვის ხელფასის მასობრივი გადიდება. ხელფასის გადიდება ხდებოდა როგორც განაკვეთების პირდაპირი გადიდებით, ისე თანამდებობათათვის სახელის გამოცვლითაც. ხელფასი უკანონოდ გაადიდეს ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობაში, ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში, სამშენებლო მასალების სახალხო კომისარიატში, ბელსახპროექტში, „ბელფანერპრომში", „ბელპრომსტროიტრესტში", მინსკის საქალაქო სათბობ განყოფილებაში და სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

1940 წელს შტატების რეგისტრაციის დროს ბელორუსიის სს რესპუბლიკის ფინსახკომმა დაუშვა ხელფასის გადიდება რესპუბლიკის 37 ორგანიზაციაში. საშტატო დისციპლინის სერიოზული დარღვევა დაშვებულია თვით ბელორუსიის ფინსახკომის აპარატში. ფინსახკომის ბევრ თანამშრომელს უმართებულოდ უმატებდნენ ხელფასს. ბელორუსიის ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. სტეფანოვმა, კანონისათვის რომ გვერდი აევლო, ფორმალურად შეუმცირა სათანამდებობო განაკვეთები იმ მუშაკებს, რომლებიც პერსონალურ განაკვეთს იღებდნენ, და განაკვეთების ასეთი არარეალური შემცირების ხარჯზე ხელფასი გაუდიდა ბელორუსიის სს რესპუბლიკის ფინსახკომის სხვა თანამშრომლებს. მოსამსახურეებს, რომელთა სამუშაო დღე ნორმირებული არ არის, დამატებით ეძლეოდათ გასამრჯელო იმ სამუშაოსათვის, რაც მათს პირდაპირ სამსახურებრივ მოვალეობაში შედის.

ბელორუსიის სს რესპუბლიკაში შემოღებული იყო ხელფასის გადიდება აპარატის სტრუქტურის შეცვლის, თანამდებობებისათვის სახელის გამოცვლისა და უფროსთა რიცხვის გადიდების საბაბით. ბელორუსიის სს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატში 21 ოპერატიულ მუშაკზე 22 უფროსი მოდის, სათბობ მრეწველობის სახალხო კომისარიატში 18 ოპერატიულ მუშაკზე 19 უფროსი მოდიოდა, ბელორუსიის სარეწაო საბჭოში 41 მუშაკზე 43 უფროსი მოდის. „სნაბლეგპრომში", რომლის აპარატი 45 კაცისაგან შესდგება, 23 უფროსია. ოპერატიულ მუშაკთა უმრავლესობას „უფროს" მუშაკს უწოდებენ.

ბელორუსიის სს რესპუბლიკის ფინსახკომი არასწორ მითითებებს აძლევდა ადგილობრივ საფინანსო ორგანოებს. მინსკის საქალაქო ფინგანსა და კაგანოვიჩის რაიფინგანს წინადადება მიეცათ რეგისტრაციაში გაეტარებინათ „სნაბლეგპრომის" ბელორუსიის კანტორის, ტელმანის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკისა და სხვა ორგანიზაციების მუშაკთა გადიდებული განაკვეთები. ამის შედეგად ყოველწლიურად დიდდებოდა ხელფასი ისეთ ორგანიზაციებში, როგორიცაა „ბელგლავმასლოპრომი", „ბელვინტრესტი", „ბელმაშსტანკოტრესტი". ბელორუსიის სს რესპუბლიკის ფინსახკომმა სტეფანოვმა სსრ კავშირის ფინსახკომის მითითებათა მიმართ უდისციპლინობა გამოიჩინა.

ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭომ 1940 წელს გაადიდა საოლქო სამიწათმოქმედო განყოფილებათა შტატები ხელფასის წლიური ფონდით 2.232.000 მანეთის რაოდენობით. ასევე უკანონოდ იქნა გადიდებული სახლთა მმართველების ხელფასი აღმოსავლეთი ოლქების ქალაქებში.

მინსკის საქალაქო საფინანსო განყოფილებამ ხელფასი გაუდიდა 14 ორგანიზაციის მოსამსახურეებს. ქ. მინსკში საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარების 53 შემოწმებულ ორგანიზაციაში აღმოჩენილ იქნა, რომ საფინანსო ორგანოები მასობრივად ატარებდნენ რეგისტრაციაში ხელფასის გადიდებულ განაკვეთებს. საწარმოები და დაწესებულებანი, რომლებსაც საფინანსო ორგანოებში შტატების რეგისტრაციის შემდეგ კონტროლს არავინ უწევდა, თავის მხრივ ადიდებდნენ მოსამსახურეთა განაკვეთებს.

რევიზიის მიერ გამოვლინებულ ფაქტებთან დაკავშირებით, სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარმა ამხ. მეხლისმა — თანამდებობიდან გადააყენა ბელორუსიის სს რესპუბლიკის ფინსახკომის საშტატო სამმართველოს უფროსი ხ. კ. გოლდინბერგი. მინსკის საქალაქო საფინანსო განყოფილების გამგეს ფ. ნ. ტოკინს და მინსკის საქალაქო განყოფილების გამგის მოადგილეს მ. ი. ბრაუტმანს საყვედური გამოეცხადათ.

II.

**ლენინგრადში** შტატების, განაკვეთებისა და ხელფასის ფონდების რეგისტრაცია დიდი დაგვიანებით ხდებოდა. 1940 წლის 1 ივლისისათვის შტატები რეგისტრაციაში არ გაუტარებია ათასზე მეტ ორგანიზაციას. რაიფინგანებმა რეგისტრაციაში გაატარეს ხელფასის უკანონოდ გადიდების მრავალი შემთხვევა. მაგალითად, ლენინის რაიფინგანმა რეგისტრაციაში გაატარა რეზინის ტექნიკური ნაწარმის ქარხნის მოსამსახურეთა ხელფასის გადიდება 355 თანამდებობისათვის, რის შედეგადაც ხელფასის თვიური ფონდი გადიდებულ იქნა 43,7 ათასი მანეთით, რეზინის ფეხსაცმლისა და კალოშის ქარხნის მოსამსახურეთა ხელფასის გადიდება 306 თანამდებობისათვის, რის შედეგადაც თვიური ხელფასი გადიდებულ იქნა 41,8 ათასი მანეთით, მექანიკური ქარხნის მოსამსახურეთა ხელფასის გადიდება 161 თანამდებობისათვის, რის შედეგადაც ხელფასის თვიური ფონდი გადიდდა 25,9 ათასი მანეთით და სხვ. მარტო იმ საწარმოებში, რომლებიც შექმნილია „კრასნი ტრეუგოლნიკის" ბაზაზე, ადმინისტრატიულ-სამმართველო აპარატის მუშაკებისათვის ხელფასი უკანონოდ გადიდებულია სულ 1,5 მილიონ მანეთზე მეტი რაოდენობით წელიწადში.

ლენინგრადის კუიბიშევის რაიფინგანმა 1940 წელს რეგისტრაციაში გაატარა გადიდებული განაკვეთები 748 თანამდებობისათვის, რის შედეგადაც თვიური ხელფასის ფონდი 78,5 ათასი მანეთით გადიდდა. ამორჩევითი რევიზიის შედეგად გადაწყდა, რომ კუიბიშევის რაიფინგანის უკანონო მოქმედებამ 1940 წელს სახელმწიფოს მილიონ მანეთზე მეტი ზარალი მიაყენა. ლენინგრადის, საქალაქო საფინანსო განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. სემიონოვმა თვითნებურად დართო ნება, რომ ხელფასი გაედიდებინათ ფაბრიკა „სკოროხოდის", არტელ „მექანიზატორის" და სხვ. მუშაკებისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარმა თანამდებობიდან გადააყენა ლენინგრადის კუიბიშევის რაიონის საფინანსო განყოფილების გამგე ნ. ნ. ვინოგრადოვი და ლენინგრადის კიროვის რაიფინგანის სარეგისტრაციო ბიუროს გამგე პ. ი. შიშანოვი. ლენინგრადის საქალაქო საფინანსო განყოფილების გამგის მოადგილეს ა. ვ. სემიონოვს საყვედური გამოეცხადა.

III.

**ტულის** საქალაქო საფინანსო განყოფილებამ 1940 წელს რეგისტრაციაში გაატარა საქალაქო ბაზრების სამმართველოს, კვერცხფრინველის კომბინატის, „მესტპრომსნაბსბიტის" კანტორის, საბჭოთა მეურნეობა „პრიუპსკის" და სხვ. მუშაკთა უკანონოდ გადიდებული განაკვეთები. ტულის 67 ორგანიზაციაში გამორჩევითი რევიზიით გამორკვეულ იქნა 265 თანამდებობისათვის განაკვეთების გადიდება 25,7 ათასი მანეთით თვეში.

ტულის საქალაქო ფინგანმა არ მოაწყო საშტატო დისციპლინის დაცვის კონტროლი. ტულის 25 ორგანიზაციაში გამორკვეულ იქნა, რომ შტატების რეგისტრაციის შემდეგ უკანონოდ გადიდებულ იქნა განაკვეთები და შემოღებულ იქნა შტატგარეშე თანამდებობანი 35 ათასი მანეთისა თვეში. ტულის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა თვითნებურად გაადიდა თავის აპარატში 21 თანამდებობის განაკვეთები. ტულის საოლქო ფინგანის გამგემ ამხ. როგოვმა და საშტატო განყოფილების უფროსმა ამხ. შჩერბაკოვმა ნება დართეს გაედიდებინათ ხელფასი საოლქო სამომხმარებლო კავშირის, საგეგმო კომისიის, საოლქო ჯანმრთელობის განყოფილებისა და სხვ. მოსამსახურეთათვის. ტულის საოლქო აღმასკომი არ ებრძოდა ამ ანტისახელმწიფოებრივ პრაქტიკას.

სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარმა თანამდებობიდან გადააყენა ტულის საოლქო ფინგანის საშტატო განყოფილების უფროსი ს. ა. შჩერბაკოვი. ტულის საქალაქო ფინგანის გამგეს ნ. ფ. სტეპანოვს და ტულის საოლქო ფინგანის გამგეს ვ. ა. როგოვს საყვედური გამოეცხადათ.

IV.

საშტატო დისციპლინის მდგომარეობის რევიზიამ **გორკის ოლქში** გამოარკვია, რომ სისტემატურად არღვევდნენ მთავრობის დადგენილებებს საკავშირო მთავრობის სპეციალური ნებართვის გარეშე ადმინისტრატიულ-სამმართველო აპარატისათვის ხელფასის გადიდების აკრძალვის შესახებ.

გორკის საქალაქო ფინგანში და სორმოვის რაიფინგანში რეგისტრირებულია განაკვეთის გადიდება 15,5 ათასი მანეთით თვეში. გარდა ამისა ქ. გორკის საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების 27 საწარმოში შტატების რეგისტრაციის შემდეგ ხელფასის ფონდი გადიდებულ იქნა 28,3 ათასი მანეთით თვეში.

გორკის საქალაქო აღმასკომმა არასწორი გადაწყვეტილება მიიღო საქალაქო და რაიონული მრეწველობის ხელმძღვანელთა ხელფასის გადიდების შესახებ, ხოლო საქალაქო ფინგანმა რეგისტრაციაში გაატარა განაკვეთის გადიდება ქალაქის ადგილმრეწვის მთავარი ინჟინრისათვის, ლუდის ქარხნის დირექტორისათვის, ქალაქის საპროექტო განყოფილების მმართველისა და მთავარი ინჟინრისათვის და სხვ.

საწარმოთა შტატების რეგისტრაცია 1940 წელს საქალაქო ფინგანმა დაამთავრა ნოემბერში, სორმოვის რაიფინგანმა მხოლოდ დეკემბერში, ე. ი. ამ რეგისტრაციას წმინდა ფორმალური ხასიათი ჰქონდა და არ შეეძლო გამოესწორებინა წლის განმავლობაში დაშვებული დამახინჯებანი. გორკის საქალაქო ფინგანი ცუდად ამოწმებდა საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მიერ საშტატო დისციპლინის დაცვას.

სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარმა საყვედური გამოუცხადა გორკის საქალაქო საფინანსო განყოფილების გამგეს ს. ა. ალექსეევს, ხოლო გორკის საოლქო საფინანსო განყოფილების გამგეს ა. ვ. გულიაევს შენიშვნა მიეცა.

V

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის **საშტატო სამმართველოს** რევიზიამ გამოარკვია, რომ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 13 მაისის დადგენილება, რომელიც სსრ კავშირის ფინსახკომს,- მოკავშირე რესპუბლიკათა ფინანსთა სახალხო კომისარიატებსა და მათს ადგილობრივ ორგანოებს აკისრებს საშტატო დისციპლინის დაცვისათვის, ხელფასის ფონდების სწორად ხარჯვისათვის კონტროლის გაწევას, არადამაკმაყოფილებლად სრულდება.

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ბოდროვმა, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა საშტატო მუშაობას, ადგილობრივ ფინანსიურ ორგანოებს მისცა მითითება, რომლითაც ნებას რთავდა რეგისტრაციაში გაეტარებინათ სამმართველო აპარატების სტრუქტურის ცვლილებანი, რითაც ხელი შეუწყო თანამდებობათათვის სახელის გამოცვლისა და განაკვეთთა გადიდების საქმეში არსებულ თვითნებობას. ფინანსთა სახალხო კომისარიატი არ უწევდა კონტროლს შტატგარეშე მომუშავე თანამშრომელთა ხელფასის ფონდის ხარჯვას სამეურნეო ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და საწარმოებში. 1940 წლის 11 თვის განმავლობაში 15 სახალხო კომისარიატის სამეურნეო ორგანოებში ამ ფონდის ხარჯებმა წლიურ დანიშნულებას 126,2 მილიონი მანეთით გადააჭარბა.

კონკრეტული საკითხების გადაჭრისას ფინსახკომის ხელმძღვანელი მუშაკები უკანონობას უშვებდნენ. სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ბოდროვმა ხელფასი გაუდიდა სახფინგამის კოტლიაკოვის სახელობის სტამბის მოსამსახურეებს, ლენინგრადის საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტის მუშაკებს, „ნეფტეპროვოდსკლადსტროის" მოსამსახურეებსა და სხვებს.

სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ი. ი. გოლევმა უკანონოდ დართო ნება თვეში 29,6 ათასი მანეთით გაედიდებინათ ხელფასი სანაოსნო საზოგადოებათა დამამზადებელი კანტორების მუშაკებისათვის, მან ნება დართო უკრაინის სს რესპუბლიკის და თათრეთის ასს რესპუბლიკის ფინსახკომებს რეგისტრაციაში გაეტარებინათ „ზაგოტჟივსირიოს" მუშაკთა გადიდებული განაკვეთები, უკანონოდ გაუდიდა ხელფასი სამრეწველო ბანკის მოსამსახურეებს თვეში 17,9 ათასი მანეთის რაოდენობით.

ხელფასის თვითნებურად გადიდებამ, რაც სსრ კავშირის ფინსახკომის საშტატო სამმართველომ დაუშვა, მასობრივი ხასიათი მიიღო. სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალურ დაწესებულებათა 24 საშტატო ცხრილით რეგისტრაციის დროს განაკვეთები გადიდებულია 750 თანამდებობისათვის წელიწადში 840 ათასი მანეთის რაოდენობით.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ განიხილა საკითხი „ადმინისტრატიულ-სამმართველო აპარატის მუშაკთათვის ხელფასის უკანონო მასობრივი გადიდების შესახებ". თავისი დადგენილებით სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს მიუთითა, რომ მან თვითნებურად გაადიდა აღმოსავლეთ ოლქების საოლქო სამიწათმოქმედო განყოფილებათა შტატები და რომ არის ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახალხო კომისარიატების, დაწესებულებებისა და სამმართველოების მუშაკებისათვის ხელფასის უკანონო გადიდების უამრავი შემთხვევა, ამასთან ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს დაავალა გააუქმოს თავისი გადაწყვეტილებანი შტატების გადიდებისა და ხელფასის მომატების შესახებ, აგრეთვე წესრიგი დაამყაროს რესპუბლიკის საფინანსო ორგანოების საშტატო მუშაობაში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ სსრ კავშირის ფინსახკომს დაავალა შემოწმოს დაწესებულებათა და საწარმოთა ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯთაღრიცხვის და შტატგარეშე მომუშავე მუშაკთა ხელფასის ფონდების რეგისტრაცია. წინადადება მისცა მას 1941 წელს შტატების რეგისტრაციასთან ერთად შეამოწმოს, თუ რამდენად სწორად იყო რეგისტრირებული შტატები 1940 წელს და რეგისტრაციაში არ გაატაროს უკანონოდ გადიდებული განაკვეთები.

სსრ კავშირის ფინსახკომს და მის ადგილობრივ ორგანოებს უფლება მიენიჭათ საკავშირო ბიუჯეტში და შესაბამისად — რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში გადარიცხონ მოსამსახურეთა ხელფასის განაკვეთების უკანონო გადიდების გამოვლინებული ასიგნობანი და ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯებისათვის გადიდებული ასიგნობანი.

სახკომსაბჭომ დააწესა ყველა დაწესებულებისა, ორგანიზაციისა და საწარმოს მიერ შტატების, განაკვეთების, ხელფასის ფონდებისა და ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების ხარჯთაღრიცხვის რეგისტრაციის ზღვრული ვადა — 1 მაისი.

ბელორუსიის სს რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. ი. ზ. სტეფანოვი ბელორუსიის სს რესპუბლიკის ფინსახკომის მუშაკთა ხელფასის თვითნებურად გადიდებისა და რესპუბლიკის საფინანსო ორგანოებში საშტატო საქმის უყურადღებობისათვის მთავრობის გადაწყვეტილებით მოხსნილია ბელორუსიის სს რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისრის თანამდებობიდან. სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. მ. ფ. ბოდროვს ხელფასის უკანონო გადიდების ნებართვის მიცემისა და შტატების რეგისტრაციის წესის შესახებ ადგილობრივი საფინანსო ორგანოებისათვის არასწორ მითითებათა მიცემისათვის სსრ კავშირის სახკომსაბჭომ საყვედური გამოუცხადა.

სახკომსაბჭომ დაავალა სსრ კავშირის პროკურორს არაუგვიანეს ორი კვირის ვადისა გამოიძიოს საქმეები ხელფასის განაკვეთების უკანონოდ გადიდების, ხელფასის ფონდების უკანონოდ ხარჯვის, ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვებისა და შტატების გადამეტების შესახებ.

(საკდესი).

# საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში

ამ დღეებში განცხადებათა გაცვლა მოხდა საბჭოთა კავშირისა და თურქეთის მთავრობებს შორის.

უცხოეთის პრესაში ხმების გავრცელების გამო, რომელთა თანახმად იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი იძულებული გახდება ომში ჩაებას, სსრ კავშირი თურქეთის სიძნელეებით ისარგებლებს, რათა თავს დაესხას მას, და ამის თაობაზე მიღებულ შეკითხვასთან დაკავშირებით, საბჭოთა მთავრობამ თურქეთის მთავრობას აცნობა, რომ:

1) ასეთი ხმები სრულიად არ შეესაბამება სსრ კავშირის პოზიციას.

2) თუ თურქეთს ნამდვილად დაესხმიან თავს და იძულებული გახდება ომში ჩაებას თავისი ტერიტორიის დასაცავად, თურქეთს, მასა და სსრ კავშირს შორის არსებული თავდაუსხმელობის პაქტის მიხედვით, შეუძლია იქონიოს სსრ კავშირის სრული გაგებისა და ნეიტრალიტეტის იმედი.

თურქეთის მთავრობამ ამ განცხადებასთან დაკავშირებით უაღრესად გულწრფელი მადლობა უძღვნა საბჭოთა მთავრობას და თავის მხრივ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ სსრ კავშირი ასეთს სიტუაციაში აღმოჩნდება, სსრ კავშირს შეუძლია იქონიოს თურქეთის სრული გაგებისა და ნეიტრალიტეტის იმედი.

ბოლშევიკურად განვახორციელოთ XVIII

პარტკონფერენციის გადაწყვეტილებანი

## მოვსპოთ უხაირათობა, შევამციროთ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება

პროდუქციის თვითღირებულება წარმოების ყველაზე ზუსტი ბარომეტრია. გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების გაზრდით თუ შემცირებით შეიძლება ნათლად დაინახო საწარმოს მუშაობა. „პროდუქციის თვითღირებულება ძირითადი მაჩვენებელია, რომელიც ახასიათებს საწარმოს მთელი მუშაობის ხარისხს" (გ. მ. მალენკოვი).

თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელმა ქარხანამ გასულ წელს თვითღირებულება 20,2 პროცენტის ნაცვლად მხოლოდ 6,4 პროცენტით შეამცირა. ამით ქვეყანას აზარალა 3040 ათასი მანეთი. მიმდინარე წლის იანვარში თვითღირებულება სრულიად არ შემცირებულა, სამაგიეროდ შრომის ნაყოფიერება 18,6 პროცენტით შემცირდა. თითქმის ანალოგიური ამბავი განმეორდა თებერვალში.

რა მიზეზები ამცირებენ შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელს და მაღლა ეწევიან თვითღირებულების მრუდს?

როცა ქარხანაში უკულტუროდ მუშაობენ, როცა მის საამქროებში ჭუჭყი, ნაგავი და უწესრიგობაა, როცა უხეშად არღვევენ ტექნოლოგიურ დისციპლინას—ეს უდავოდ იწვევს წუნდებული პროდუქციის გამოშვებას, ამცირებს შრომის ნაყოფიერებას და, მაშასადამე, ზრდის გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულებას. მართლაც, შარშან ქარხანაში წუნდებული პროდუქციის გამოშვებით გამოწვეული ზარალი 128 ათას მანეთს უდრიდა, მიმდინარე წლის იანვარში კი 8000 მანეთს.

როცა ქარხანა არათანაბრად, კვეთებით მუშაობს, როცა ჰყავის იერიშობანა, როცა თვის დასაწყისში ცუდად იყენებენ მოწყობილობას, ხოლო შემდეგ ცხარე დღეები დგება, ზედმეტ საათებს მუშაობენ, არღვევენ ტექნოლოგიურ პროცესს, ამტვრევენ იარაღებს და მოწყობილობას — ეს აუცილებლად იწვევს თვითღირებულების გადიდებას. და მართლაც, გასული წლის მარტო უკანასკნელ კვარტალში 793 დასახელების იარაღი გატყდა, მიმდინარე წლის იანვარში კი 205 ინსტრუმენტი. იარაღებისა და მოწყობილობისადმი დაუდევარი დამოკიდებულება განსაკუთრებით შესამჩნევია ამწყობ, მექანიკურ და დეტალების დამამზადებელ საამქროებში. ინსტრუმენტების დამტვრევით ქარხანამ დეკემბერში იზარალა 2435 მანეთი, იანვარში 2031 მან.

ამასწინათ მექანიკურ საამქროში იქამდეც კი მივიდნენ, რომ საუცხოო დაზგა გასტეხეს. დამნაშავენი ძლივძლივობით მოსძებნეს. ისინი პასუხისგებაში მისცეს, მაგრამ მათი დასჯა გაჭიანურდა.

აქ ასე ხდება: როცა რომელიმე ინსტრუმენტი ცოტა მოძველდება, მას გადააგდებენ, აღარ იყენებენ, მაშინ როცა შეიძლება იარაღის შეკეთება, მათი ქიმიური წრთობა და კვლავ გამოყენება.

ის ფაქტი, რომ სამჭედლო საამქროში პატარა დეტალის დასამზადებლადაც ღუმელს ანთებდნენ, კომპრესორს მეორე ცვლაშიც ამუშავებდნენ, იწვევდა ელექტროენერგიის გადახარჯვას და, მაშასადამე, თვითღირებულების გაზრდას.

ქარხანას უკეთ როდი დაუწყია მიმდინარე სამეურნეო წელი. მარტო იანვარში 32 ათასი კილოვატი (გეგმაზე 29,5 პროცენტით მეტი) ელექტროენერგია გადახარჯა.

აი ის მიზეზები, რომლებიც ადიდებენ თვითღირებულებას. აი, რატომ უნდა იბრძოლოს ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ ამ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ, რატომ უნდა მიაპყროს შეუსუსტებელი ყურადღება გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულებას.

**პ. ჭიოკაძე**

## ისევ იერიშობანა

ეცნობით თბილისის მუსიკალური კომბინატის მიმდინარე წლის იანვრის, თებერვლისა და მარტის საწარმოო პროგრამის შესრულებას და გაგონდებათ გაზ. „პრავდას" სიტყვები: „მეტწილ ქარხნებისათვის ტიპიური გახდა თვის პირველ დეკადაში ძილი, მეორე დეკადაში — გამოფხიზლება და მესამეში — ავრალი".

სამწუხაროდ, ასეთია ამ კომბინატის მუშაობის სტილი. აქ, ამ ახლად აგებულ საწარმოში არ იციან, თუ რა არის პროდუქციის ყოველდღიურად თანაბრად გამოშვება. ნაცვლად ამისა მიჩვეული არიან გეგმების შესრულებას დროდადრო კვეთებით, უცდიან თვის ბოლო დღეებს და მაშინ აიღებენ ტემპებს გეგმების შესასრულებლად.

გასულ წელს კომბინატი ცუდად მუშაობდა. მან წლიური საწარმოო გეგმა 87,1 პროცენტით შეასრულა, პიანინოების გამოშვების დავალება კი მხოლოდ 53,3 პროცენტით. გეგმით გათვალისწინებული 1.500 ცალი პიანინოს ნაცვლად გამოუშვა 800 ცალი. სამაგიეროდ როგორც ეს აღნიშნა ამხ. კ. ჩარკვიანმა თბილისის პარტიული აქტივის კრებაზე, კომბინატმა დიდი რაოდენობით გამოუშვა მუსიკასთან ფრიად შორეული დამოკიდებულების მქონე ისეთი საგნები, როგორიცაა, ტაბურეტები, საწოლებს შუა დასადგმელი ტუმბები და სხვა ამგვარი ავეჯი.

მიმდინარე წლის იანვარში კომბინატს უნდა გამოეშვა 120 ცალი პიანინო. თვის პირველ დეკადაში გამოშვებულ იქნა 20 ცალი („ძილი"), მეორე დეკადაში — 42 ცალი („გამოფხიზლება") და მესამე დეკადაში გამოშვებულ იქნა 58 ცალი პიანინო („ავრალი"). მუშაობის ასეთივე სტილი დაცულია თებერვალშიც და თვიური გეგმა — 130 ცალი პიანინოს გამოშვება — შესრულებულია.

არც მარტში უღალატეს კომბინატის ხელმძღვანელებმა ყველას მიერ დაძრახულ, მავნე ტრადიციას. გეგმით მათ ამ თვეს 150 პიანინო უნდა გაეკეთონ. თვის პირველ დეკადაში გამოშვებულ იქნა 5 ცალი პიანინო. მეორე დეკადაში კი დღიურ საწარმოო დავალებებს ასრულებენ, ზოგჯერ გადაჭარბებითაც კი. თვის უკანასკნელ დღეებში, ალბათ, დაიწყება ავრალი გეგმების შესრულებაში.

მარტში ამ არანორმალურ მუშაობას მიაწერენ გამომშრალი ხის მასალის ნაკლებობას. მაგრამ ისინი ხომ გასულ თვეებშიც ამგვარივე ტემპებით მუშაობდნენ, როცა გამომშრალი ხის მასალა საკმაო ჰქონდათ?

კომბინატის ასეთი „რიტმიული" მუშაობა იმის უშუალო შედეგია, რომ პარტიული ორგანიზაცია დღემდე წარმოების ეკონომიკას ვერ დაეუფლა. წარმოების საკითხები ვერ გახდნენ პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიური მზრუნველობის საგნად.

**კ. კ—ძე**

# საქართველოს სსრ თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს მეხუთე პლენუმი

საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური საბჭოს მეხუთე პლენუმს, რომელიც სამ დღეს მიმდინარეობდა, გარდა პლენუმის წევრებისა ესწრებოდნენ სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე, ავიაციის გენერალ-მაიორი პ. კობელევი, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამხედრო განყოფილების გამგე ამხ. ბონდარევი, რესპუბლიკის სამხედრო კომისარი პოლკოვნიკი ძაბახიძე, პოლიტპროპაგანდის უფროსი, ათასეულის უფროსი კომისარი მუსერიძე, აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოების თავმჯდომარეები, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომების სამხედრო განყოფილებათა გამგეები, საქართველოს რაიონების თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოების თავმჯდომარეები და სხვ.

პლენუმის დღის წესრიგის პირველ საკითხზე — საქართველოს სს რესპუბლიკის თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციათა მიერ გასულ წელს მასობრივი თავდაცვითი ხაზით ჩატარებული მუშაობისა და მიმდინარე წლის ამოცანების შესახებ — ვრცელი, შინაარსიანი მოხსენება გააკეთა საქართველოს სს რესპუბლიკის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ პოლკოვნიკმა ი. სილაგაძემ.

საქართველოს სს რესპუბლიკის თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებმა 1939 წელთან შედარებით 1940 წელს მოცემული გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს. ყველა სახეობის მასობრივ-თავდაცვითს ნიშნებზე ნორმების ჩაბარების გეგმა 1940 წელს შესრულებულია 154,1 პროცენტით, გარდა საჰაერო-ქიმიური თავდაცვის პირველი საფეხურის ნორმებისა, რაც შესრულებულია მხოლოდ 95,8 პროცენტით.

საჰაერო - ქიმიური თავდაცვის მეორე საფეხურის ინსტრუქტორები ნაცვლად 3.600 კაცისა მომზადებულია 8.775 კაცი, გეგმა შესრულებულია 243 პროცენტით. საჰაერო-ქიმიური თავდაცვის უფროსების მომზადების გეგმა შესრულებულია 150 პროცენტით, თვითდაცვის ჯგუფის უფროსები ნაცვლად 200 კაცისა მომზადებულია 292 კაცი.

ამხ. ი. სილაგაძემ დადებითს მუშაობასთან ერთად აღნიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით მოიპოვება საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ზოგიერთი ორგანიზაციის მუშაობაში.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში ჩაწერილი 45 ამხანაგიდან მონაწილეობა მიიღო 27 ამხანაგმა, მათ შორის საქ. სსრ სამხედრო კომისარმა პოლკოვნიკმა ძაბახიძემ, თბილისის მოლოტოვის რაიონის თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ჭუჭულაშვილმა, აჭარის ასს რესპუბლიკის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გაბუნიამ, სახელგამის თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციის წევრთა სამხედრო საქმის სწავლების გუნდის მეთაურმა ამხ. გვახარიამ და თბილისის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. ანთელიძემ.

ამხ. სილაგაძის მოხსენების გარშემო ვრცელი და შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა აგრეთვე სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ავიაციის გენერალ-მაიორი პ. კობელევი, რის შემდეგ პლენუმმა დღის წესრიგის პირველი საკითხის გარშემო მიიღო სათანადო რეზოლუცია.

დღის წესრიგის მეორე საკითხის ირგვლივ — საქართველოს რაიონებისა და ქალაქების თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციათა შორის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ — მოხსენება გააკეთა ამხ. პაპოიანმა.

გასულ წელს მასობრივი თავდაცვითი მუშაობის საუკეთესოდ ჩატარებისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი დროშები გადაეცათ აფხაზეთის ასსრ თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოს, ზუგდიდისა და ლანჩხუთის თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭოებს. საქ. სსრ თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს სიგელები გადაეცათ თბილისის საქალაქო საბჭოსა და ხაშურის, წყალტუბოს და ცხაკაიას თავდაცვა-ავიაქიმების რაისაბჭოებს.

დასასრულ, განხილულ იქნა ორგანიზაციული საკითხები. იმის გამო, რომ ამხ. ჯიბუტმა ვერ უზრუნველჰყო პლენუმის წევრის მოვალეობის შესრულება, იგი გამოყვანილ იქნა პლენუმის შემადგენლობიდან, პრეზიდიუმის შემადგენლობიდან გამოყვანილ იქნენ ამხ. აგაჯანოვა და მაღალაშვილი მათი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

პლენუმმა თავის შემადგენლობაში აირჩია ამხ. სილაგაძე, გორგასიძე და ანთელიძე, ხოლო პრეზიდიუმის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ ამხ. სილაგაძე, გორგასიძე, ანთელიძე და გოგირიშვილი. საქართველოს სს რესპუბლიკის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პოლკოვნიკი ი. სილაგაძე.

## თბილის-მოსკოვის საჰაერო ხაზზე

უკანასკნელ დღეებში სამოქალაქო-საჰაერო ფლოტის საქართველოს სამმართველოს თბილისის აეროპორტში ტარდება სწრაფი სამგზავრო თვითმფრინავების საწვრთნელი ფრენა ღამით. გასულ წლებთან განსხვავებით, მოსკოვიდან მოსულ თვითმფრინავებს საჭიროების შემთხვევაში ღამითაც მიიღებენ. ამასთან დაკავშირებით, ჩატარებულია მთელი რიგი სამუშაოები თბილისის აეროპორტის მოსაწყობად, პროჟექტორების დასადგმელად და ა. შ., რაც იმის შესაძლებლობას ჰქმნის, რომ თვითმფრინავები დაეშვნენ და აფრინდნენ ღამის ყოველ საათში.

ახლა თბილისიდან მოსკოვს თვითმფრინავები ხუთ დღეში ერთხელ დადიან. 21 მარტს სწრაფმავალმა თვითმფრინავმა „პს-84" მგზავრები წაიყვანა მოსკოვს კავკასიონის ქედზე გადავლით. 5 მაისიდან ამ ხაზით თვითმფრინავები ყოველდღიურად ივლიან.

მგზავრების უკეთ მომსახურების მიზნით განზრახულია ზაფხულის პერიოდისათვის შეცვლილ იქნეს თბილისიდან მოსკოვში თვითმფრინავების გასვლის საათები, მატარებლების მიმოსვლის გრაფიკთან შეთანხმებით. მანქანები გაფრინდებიან დილის არა 7 საათზე, როგორც ეს უწინ იყო, არამედ 10 საათზე. ეს ჰქმნის ბათუმიდან, ერევნიდან და სხვა ქალაქებიდან თბილისში დილით ჩამოსული მგზავრების მომსახურების საშუალებას.

(საქდესი).

## დაიწყო საჭადრაკო მატჩ-ტურნირი

**ლენინგრადი**, 23 მარტი (საკდესი). ურიცკის სასახლის დარბაზში, რომელიც ხალხით არის გაჭედილი, დაიწყო საჭადრაკო მატჩ-ტურნირი სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის სახელწოდების მისაღებად.

პირველი ტურის პარტიებმა დაგვანახვა, რომ მოწინააღმდეგეებმა თავიდანვე გაბედულად გადასწყვიტეს არ მოერიდონ გართულებას და არ ეცადონ მშვიდობიან ყაიმს. ბონდარევსკი—კერესის პარტია გადაიდო ისეთ მდგომარეობაში, სადაც კერესი ინარჩუნებს ზედმეტ პაიკს და მოგების შანსებს.

ლილიენტალ-სმისლოვის პარტიაში, სადაც სმისლოვს პარტია უნდა წაეგო, მან მოხერხებული მანევრით მე-36 სვლაზე მიაღწია ყაიმს მუდმივი ქიშით.

ბოტვინიკ-ბოლესლავსკის პარტია უკრაინის ჩემპიონის ავადმყოფობის გამო არ შემდგარა.

ხვალ მეორე ტურში ერთმანეთს შეხვდებიან ბოლესლავსკი-ბონდარევსკი, სმისლოვი-კერესი, ბოტვინიკი-ლილიენტალი.

### სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოში

სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა ფაბრიკებთან, ქარხნებთან, კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, დაწესებულებებსა და სახლთსამმართველოებთან არსებულ პირველადს ორგანიზაციებს ნება დართო საწევრო გამოსაღებთა 30 პროცენტი და შესასვლელ გამოსაღებთა 100 პროცენტი დაიტოვონ პირველად ორგანიზაციებში თავდაცვითი მუშაობის განმტკიცებისა და გაფართოებისათვის. ეს სახსრები შეიძლება გამოყენებულ იქნას სასწავლო თვალსაჩინო სახელმძღვანელოების შესაძენად, სამხედრო ტაქტიკური მეცადინეობის მოსაწყობად და ა. შ. (საკდესი).

## ახლებურად მუშაობის პირველი ნაბიჯები

ჭიათურის მარგანტრესტის ლენინის სახელობის ქარხანა-მაღარომ მარგანეცის გამოღების გასული წლის გეგმა ვერ შეასრულა. ასევე არ შესრულდა სასაქონლო პროდუქციის დამზადებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმები. მაღარომ შარშან 305.922 მანეთი გადახარჯა.

1941 წელს ქარხანა - მაღაროს ხელმძღვანელებმა მთელი რიგი ღონისძიებები გაატარეს გარღვევიდან თავის დასაღწევად. მეხუთე უბანში 200 მეტრზე გაყვანილია წყლის სადრენაჟო არხი, ამუშავდა ორი სკრეპერი და სხვ. ამ ღონისძიებების შედეგად უბანი საგრძნობლად დაწინაურდა. იანვარ-თებერვლის გეგმა 108,7 პროცენტით შეასრულა. ასეთივე წარმატებით ასრულებს დავალებას მარტშიც.

მეოთხე უბანში ამუშავეს ერთი საყელავი მანქანა, ოთხი მომნგრევი ჩაქუჩი და ერთი სკრეპერი, რის შედეგადაც უბანი ყოველდღიურ გეგმას 100-103 პროცენტით ასრულებს. ასეთივე ღონისძიებები იქნა გატარებული პირველ უბანში. აქ დამატებით ამუშავებულ იქნა მომნგრევი ჩაქუჩები და ერთი თვითმტვირთავი მანქანა.

პროდუქციის გაზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ქარხანაში დაიდგა გარცის ტიპის დაზგა, რომელიც დღე-ღამეში 40 ტონა მაღალხარისხოვან მარგანეცს იძლევა.

ქარხანა - მაღაროს კოლექტივმა საკ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე სერიოზული მუშაობა ჩაატარა. მაღაროს უბნები გაწმენდილია ზედმეტი ხარახურისაგან. შეგროვილია ქარხანა-მაღაროს მიდამოებში გაბნეული ლითონის ნაჭრები, რელსები, მილები, ღარები და სხვ. გასუფთავდა მაღაროს ტრანსპორტი.

ამ ღონისძიებათა გატარებით ქარხანა-მაღარომ თავი დააღწია ჩამორჩენას. მარგანეცის გამოღების იანვარ-თებერვლის გეგმა 101,8 პროცენტით შეასრულა, სასაქონლო პროდუქციის დამზადებისა — 120 პროცენტით.

**ტ. ნასარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პარტიული ცხოვრება

# ბათუმის პარტიული აქტივის კრება

ბათუმი („კომუნისტის" კორ.). 22-23 მარტს ფაბრიციუსის სახელობის კლუბში მიმდინარეობდა ბათუმის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, მიძღვნილი საქ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის შედეგებისადმი. აქტივის კრება, რომელსაც 500 კაცი ესწრებოდა, გახსნა საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივნის მოვალეობის ამსრულებელმა ამხ. ივ. ოქრუაშვილმა.

კრებამ მქუხარე ოვაციებით საპატიო პრეზიდიუმში აირჩია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით, აგრეთვე ამხანაგები ჩარკვიანი და ბაქრაძე.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის და ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. გ. თვალჭრელიძე.

ამხ. თვალჭრელიძემ, რომელმაც აქტივის კრებას დაწვრილებით გააცნო XVIII პარტკონფერენციის ისტორიული გადაწყვეტილებანი, თავისი მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა აჭარის მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობას და აღნიშნა, რომ ის ნაკლოვანებები, რომლებიც გამომჟღავნებული იქნა პარტკონფერენციაზე, ახასიათებს აჭარის, კერძოდ ბათუმის საწარმოებს და პარტორგანიზაციებს.

აჭარამ სერიოზული წარმატებები მოიპოვა მესამე ხუთწლედის მანძილზე მრეწველობის განვითარების საქმეში. ამ ხნის განმავლობაში რესპუბლიკის საწარმოთა მწყობრში ჩადგა 8 ახალი ისეთი საწარმო, როგორიც არის ტუნგოს ქარხანა, ორთაბათუმის ჩაის ფაბრიკა, ბათუმის ციტრუსკომბინატი და სხვ. მაგრამ აჭარის მრეწველობის მუშაობაში არის ნაკლიც.

მიუხედავად იმისა, რომ 1940 წელს აჭარის საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქცია 1939 წელთან შედარებით 12,35 პროცენტით გაიზარდა, საწარმოო გეგმები შეასრულეს ბათუმის სტალინის სახელობის ნავთსახდელმა ქარხანამ, ჩაის ფაბრიკებმა, მომთუთიებელმა ქარხანამ, ნავსადგურის სახელოსნოებმა და სხვ., მაინც მთელი საწარმოო პროგრამა რესპუბლიკაში 1940 წელს ვერ იქნა შესრულებული.

საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების 22 საწარმოდან შარშან გეგმები არ შეუსრულებია 12 საწარმოს. ამ საწარმოთა რიცხვში არის ბათუმის სამკერვალო ფაბრიკა, რომელმაც 1940 წელს გეგმა შეასრულა 92,6 პროცენტით. არც მიმდინარე წელში აქვს მას სახარბიელო მდგომარეობა. ფაბრიკაში მოუწესრიგებელია შრომის ორგანიზაცია, ადგილი აქვს მუშა-ხელის დენადობას. ასე, მაგალითად, მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში ფაბრიკაში მიღებულ იქნა 78 მუშა, ხოლო ფაბრიკიდან წავიდა 42. ფაბრიკაში დღემდე არ არის აღმოფხვრილი შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები.

მომხსენებელმა მკაცრად გააკრიტიკა აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის კომისარიატის და მისი სახკომის ამხ. ა. თაფლაშვილის მუშაობა. ამ კომისარიატის სისტემაში 14 საწარმოა გაერთიანებული, რომელთა უმრავლესობა ქალაქ ბათუმშია თავმოყრილი. იმის ნაცვლად, რომ სახკომმა და კომისარიატის ხელმძღვანელმა მუშაკებმა ადგილებზე მისვლით გაუწიონ დახმარება საწარმოთა ხელმძღვანელებს მუშაობაში, ამხ. თაფლაშვილმა პრაქტიკაში შემოიღო თვეში 2-ჯერ და ისიც სამუშაო საათებში საწარმოთა ხელმძღვანელების თათბირების მოწვევა კომისარიატში. ასეთი უხეირო ხელმძღვანელობის შედეგია ის, რომ ადგილობრივი მრეწველობის ისეთმა წამყვანმა საწარმოებმა, როგორიც არის ოჩხამურის და ბათუმის აგურ-კრამიტის ქარხნები, გასულ წელს საწარმოო დავალება ვერ შეასრულეს და ვერც ამჟამად მუშაობენ სრული დატვირთვით.

შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა ნავსადგურისა და ბათუმის რკინიგზის კვანძის მუშაობის საკითხებზე. მან მოიყვანა ცნობები წყლისა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის ნაკლოვანებებზე და დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა იმ ღონისძიებების გატარებისაკენ, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ დარგების მუშაობის გაუმჯობესებას.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ზ. პირიაშვილმა, ა. თაფლაშვილმა, თ. ხინთიბიძემ, მ. მშეციანმა, ლ. სიკინჭილაშვილმა, პ. წყავზარაძემ, გ. სარჩიმელიამ, ი. პავლოვსკამ, ალ. ბალანკოვმა, ტ. მგელაძემ, ალ. ოსეფაშვილმა, ივ. რუხაძემ, გ. მაზმანიშვილმა, მ. ვიგნასკიმ და სხვ. — სულ 22 კაცმა.

მოკამათეებმა, გააკრიტიკეს რა მრეწველობისა და ტრანსპორტის და აგრეთვე ცალკეული პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებანი, შემოიტანეს პრაქტიკული წინადადებანი ამ ნაკლთა გამოსწორებისათვის.

ამხ. გ. თვალჭრელიძის საბოლოო სიტყვის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ერთსულოვნად იწონებს საქ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის გადაწყვეტილებებს.

კ. დოგორჯგინიძე

## საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის სახელობის რაიკომის პლენუმი

გუშინ, 24 მარტს, შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის სახელობის რაიკომის VII პლენუმი, რომელმაც განიხილა ორი საკითხი.

პირველ საკითხზე — 1940 წლის მარტიდან 1941 წლის 24 მარტამდე რაიკომის ბიუროს განვლილი მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. გ. გოჩაშვილმა.

ამხ. გოჩაშვილის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ჩარაევმა (თბილისის მაუდის ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი), სარქისოვმა (კალინინის სახელობის ქარხნის დირექტორი), მურადაშვილმა (მშრომელთა დეპუტატების სტალინის სახელობის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), მეშველიანმა, ბოჯგუამ, ლაბახუამ, დარჩინიანმა და აბაშიძემ.

მომავალი მუშაობისათვის პლენუმმა დასახა ღონისძიებანი.

მეორე საკითხად განხილულ იქნა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა ამხ. გ. გოჩაშვილი გაათავისუფლა რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის სახელობის რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობის ამსრულებლად პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხ. ვ. ლოლაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ხ. მ. იშხანოვი.

## საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

ბათუმი („კომუნისტის" კორ.). 24 მარტს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები. პლენუმმა ამხ. ივ. ოქრუაშვილი გაათავისუფლა საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო.

საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხ. გ. მ. ებრალიძე, ხოლო ქალაქკომის მდივნის მოვალეობის აღმსრულებლად მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში ამხ. შ. ს. ჭილაია.

## საქ. კ. პ. (ბ) ფოთის ქალაქკომის პლენუმი

ფოთი („კომუნისტის" კორ.). 19 მარტს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

საქ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის დადგენილების შესაბამისად საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივნად ტრანსპორტის დარგში არჩეულ იქნა ამხ. ვ. კაცაძე.

კ. ტაბაღუა



საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის პარტკაბინეტის კონსულტანტი მ. მახათაძე (მარცხნით) კონსულტაციას უწევს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" საკითხებზე ამხანაგებს გ. ლალუაშვილს, ვ. დათუნაშვილსა და მ. აბრამიშვილს.

ფოტო ვ. ჩერქასოვისა (საქტესის ფოტოქრონიკა).

## პასუხები შეკითხვებზე

# ვინ იყვნენ ოქტიაბრისტები?

(პასუხი ამხ. ვ. ქაჯაიას შეკითხვაზე)

ოქტიაბრისტების პარტია ანუ „17 ოქტომბრის კავშირი" შესდგა 1905 წლის ოქტომბრის შემდეგ — ესე-იგი მას შემდეგ, რაც ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვით შეშინებულმა თვითმპყრობელობამ გამოაქვეყნა ცნობილი „17 ოქტომბრის მანიფესტი".

ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკურმა გაფიცვამ თავზარი დასცა როგორც თვითმპყრობელობას, ისე ბურჟუაზიასაც. როგორც ლენინი წინასწარმეტყველებდა, რუსეთის ბურჟუაზია დაადგა თვითმპყრობელობასთან შეთანხმების აშკარა რეაქციულ გზას და მასთან ერთად იწყო რევოლუციის მებრძოლი ძალების განადგურება.

ამის შესახებ ლენინი სწერდა: „საკონსტიტუციო მანიფესტის თარიღით ისარგებლეს, როგორც პარტიის სახელწოდებით, მსხვილბურჟუაზიულმა ელემენტებმა. ისინი მეფის მთავრობის მხარეს გადავიდნენ, იმ მთავრობის, რომელმაც დაიწყო თვითმპყრობელობისადმი ახალი კონსტიტუციის შეგუება. ოქტომბერი — ეს არის თარიღი რუსეთის რევოლუციის ნაწილობრივი გამარჯვებისა, რომელიც აქამდე ერთადერთია. ოქტიაბრისტები კი ეწოდება ჩვენში კონტრრევოლუციური მსხვილი ბურჟუაზიის პარტიას" (ტ. X, გვ. 93). ოქტიაბრისტების კავშირში შედიოდნენ მსხვილი სამრეწველო ბურჟუაზიის და გაბურჟუებულ გზაზე დამდგარი მემამულეების წარმომადგენლები. კავშირი თავის რიგებში ღებულობდა აგრეთვე ისეთ ბურჟუაზიულ პარტიებს, რომლებიც კავშირის პროგრამას გაიზიარებდნენ. მაგალითად, ოქტიაბრისტების კავშირში შევიდა პროგრესიულ-ეკონომიური პარტია, რომელიც 1905 წლის ოქტომბერში ჩამოაყალიბეს პეტერბურგის მსხვილმა კაპიტალისტებმა, და სავაჭრო-სამრეწველო კავშირი, რომელიც გამოხატავდა ბურჟუაზიის საშუალო ფენების ინტერესებს. 17 ოქტომბრის კავშირის პროგრამა გამოქვეყნებულ იქნა 1905 წელს 13 ნოემბერს გაზეთ „Слово"-ში რომელიც კავშირის ოფიციალურ ორგანოდ ითვლებოდა.

კავშირის პროგრამა მხარს უჭერდა რუსეთში კონსტიტუციური მონარქიული წყობილების ჩამოყალიბებას, სასტიკად ილაშქრებდა დამფუძნებელი კრების მოწვევის წინააღმდეგ. ეროვნულ საკითხში ოქტიაბრისტები იცავდნენ დიდმპყრობელურ პოლიტიკას და პატარა ერებისათვის დამოუკიდებელი მმართველობის უფლების მინიჭების წინააღმდეგი იყვნენ.

ოქტიაბრისტები სავსებით უჭერდნენ მხარს მთავრობის მიერ მიღებულ რეპრესიულ ზომებს, რომლებიც მიმართული იყო რევოლუციის მამოძრავებელ ძალთა განადგურებისაკენ.

ცნობილია, რომ 1906 წლის 24 აგვისტოს კანონით მთავრობამ გააუქმა ყველა ის დათმობანი, რომლებიც ხალხმა ბრძოლით მოიპოვა 1905 წლის ოქტომბერსა და დეკემბერში. ამასთანავე გამოქვეყნდა ცნობა სამხედრო-საველე სასამართლოების შემოღების შესახებ.

ოქტიაბრისტების ლიდერმა გუჩკოვმა სავსებით მოიწონა მთავრობის ასეთი ნაბიჯი, მოიწონა აგრეთვე პირველი სახელმწიფო სათათბიროს გარეკა და ყოველივე ეს აღიარა „ფრიად პროგრესიულ" მოვლენად. გუჩკოვის ასეთმა ნაბიჯმა ერთგვარი უკმაყოფილება გამოიწვია ოქტიაბრისტების ერთ ნაწილში, როგორიც იყო მაგალითად, თავადი ტრუბეცკოი და კავშირის ერთერთი დამაარსებელთაგანი შიპოვი. ისინი „მშვიდობიანი განახლების" მომხრენი იყვნენ და ეშინოდათ, რომ მთავრობის უხეშ მოქმედებას არ გამოეწვია ბურჟუაზიის მერყევი ელემენტების გადასვლა რევოლუციის ბანაკში.

ზემოაღნიშნული მიზეზის გამო 1906 წლის შემოდგომაზე კავშირის შემადგენლობაში მოხდა განხეთქილება. მცირე ნაწილი გავიდა კავშირიდან, მაგრამ ამ მოვლენას არ გამოუწვევია კავშირის დაშლა.

მეორე სათათბიროს არჩევნების დროს 17 ოქტომბრის კავშირის განყოფილებებმა საარჩევნო შეთანხმება დასდეს „რუსი ხალხის" კავშირთან, რომელიც აშკარა რეაქციულ პარტიად ითვლებოდა და მასთან ერთად მხარი დაუჭირეს თვითმპყრობელობას — საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში.

სწორედ ამიტომ ლენინის აზრით ოქტიაბრისტების პოლიტიკა არაფრით არ განსხვავდებოდა აშკარა შავრაზმელების პოლიტიკისაგან. ახასიათებდა რა შავრაზმელებს, ლენინი სწერდა: „ისინი იცავენ ახლანდელ მეფის მთავრობას, რადაც უნდა დაუჯდეთ, და ეს მათ აკავშირებს ოქტიაბრისტებთან; ამიტომ ძალიან ძნელია, მაგალითად, რომელიმე უფლებრივი წყობილების მომხრის შესახებ ითქვას, სად თავდება შავრაზმელი და სად იწყება ოქტიაბრისტი" (ლენინი, ტ. X, გვ. 118). ოქტიაბრისტები რომ მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდნენ, ამის ნათელსაყოფად შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ ერთი ციტატი ლენინის შრომიდან: „ტიპიური ოქტიაბრისტი — ბურჟუაზიული ინტელიგენტი კი არა, მსხვილი ბურჟუაა. იგი ბურჟუაზიული საზოგადოების იდეოლოგი კი არა, მისი უშუალო მეპატრონეა. იგი პირდაპირ დაინტერესებულია კაპიტალისტური ექსპლოატაციით და სძაგს ყოველგვარი თეორია, აფურთხებს ინტელიგენციას და უკუაგდებს „დემოკრატიზმის" ყოველგვარ პრეტენზიას" (ლენინი, ტ. X, გვ. 117).

პირველი იმპერიალისტური ომის დროს, როდესაც გამოირკვა მეფის მთავრობის უმწეობა, ოქტიაბრისტების რიგებში დაიწყო მერყეობა. მათი ერთი ნაწილი კადეტებს უახლოვდება და იწყებს მთავრობის პოლიტიკის კრიტიკას. უმრავლესობა კი აშკარად გადადის მონარქისტების ბანაკში და გამოხატავს მემამულე თავადაზნაურობის ინტერესებს. ოქტომბრის ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის შედეგად ოქტიაბრისტების პარტია განადგურებულ იქნა.

კ. ქავთარაძე

# გიბრალტარის მნიშვნელობა

(პასუხი ამხ. დ. ჭეიშვილის შეკითხვაზე)

გიბრალტარი ინგლისის სამხედრო-საზღვაო ბაზა და სიმაგრეა პირინეის ნახევარკუნძულის სამხრეთით. კოლონიის ტერიტორია 5 კვადრატული კილომეტრია და მდებარეობს ევროპა პოინტის კონცხზე, რომელიც ვიწრო ქვიშიანი ყელით ესპანეთის ტერიტორიას უერთდება. ეს ყელი ნეიტრალურ ზონას წარმოადგენს ესპანეთსა და გიბრალტარს შორის.

კონცხის დასავლეთ ნაპირზე მოთავსებულია პატარა სანავსადგურო ქალაქი გიბრალტარი ვიწრო ქუჩებით და ყაზარმის ტიპის გრძელი სახლებით. თვით გიბრალტარის სიმაგრე კლდის ფერდობებზეა და შესდგება რკინა-ბეტონით გამაგრებული რამდენიმე სართულისაგან. თვითეული ბასტიონი დაცულია მეორე ბასტიონით. ნავსადგურის სიგრძე 1,8 კილომეტრია. აქ აგებულია დოკები სახაზო გემების რემონტისათვის. ნავსადგური გარშემორტყმულია სამი ძლიერი მოლით წყალქვეშა ნავების თავდასხმისაგან დაცვისათვის. გიბრალტარის ნავსადგურს შეუძლია მიიღოს დიდი წყალწყვის ხომალდები და მომარაგოს ისინი საჭირო რაოდენობის ნავთითა და ნახშირით.

გიბრალტარში 20 ათასზე მეტი კაცი სახლობს. მშვიდობიანობის დროს ინგლისელების გარნიზონი 3500 კაცამდე აღწევს. გიბრალტარს მართავს სამხედრო გუბერნატორი, რომელიც ამავე დროს სიმაგრის კომენდანტია და შეიარაღებული ძალების სარდალი.

გიბრალტარის კლდე თავისი გეოგრაფიული მდებარეობით უდიდეს სამხედრო უპირატესობას აძლევს ინგლისს ხმელთაშუა ზღვაზე ბატონობისათვის. იგი დაჰყურებს გიბრალტარის სრუტეს, რომელიც ატლანტის ოკეანიდან ხმელთაშუა ზღვაში შესასვლელად ერთადერთი უმოკლესი გზაა. სრუტე ყველაზე უფრო ვიწროა ტარიფისა (ევროპის ნაპირი) და სირესის (აფრიკის ნაპირი) კონცხებს შუა (13 კილო-




მეტრი). თვით გიბრალტართან სრუტის სიგანე 21 კილომეტრს უდრის.

გიბრალტარის კლდის სტრატეგიული მნიშვნელობა პირველად შეაფასეს არაბმა-დამპყრობლებმა, როცა ისინი VIII საუკუნეში გადმოსხდნენ ესპანეთის სანაპიროზე. მათ აქ ააგეს ჯებელ-ელ-ტარიკის სიმაგრე („ტარიკის კლდე") და თავიანთი წინამძღოლის ტარიკის სახელი უწოდეს. აქედან შემდეგ წარმოიშვა სახელწოდება გიბრალტარი.

მრავალი საუკუნის განმავლობაში გიბრალტარს ესპანეთის ძლიერი იმპერია ჰფლობდა. მე-17 საუკუნიდან ესპანეთის იმპერიის თანდათანობით დაშლასთან ერთად იზრდება ინგლისის საზღვაო ძლიერება. ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომში ინგლისი 1704 წლის აგვისტოში გიბრალტარს იპყრობს. ხმელთაშუა ზღვაში ეს იყო ინგლისის პირველი შენაძენი.

ესპანეთმა არაერთგზის სცადა გიბრალტარი დაებრუნებინა. მან საფრანგეთის დახმარებით 1779 წლიდან 1783 წლამდე ალყა შემოარტყა გიბრალტარს. სიმაგრეში ჩაკეტილმა ინგლისელებმა 40 თვის ტყვეობას გაუძლეს. გიბრალტარი ინგლისელებს დარჩათ.

სუეცის არხის გახსნის შემდეგ, 1869 წლიდან, გიბრალტარი გადაიქცა უმნიშვნელოვანეს ნავსადგურად ევროპასა და აზიას შორის უმოკლეს გზაზე. გიბრალტარის სრუტის სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა დიდად გაიზარდა განსაკუთრებით ბრიტანეთის იმპერიისათვის. თუ სუეცის არხის გახსნამდე გემებს საუთჰემპტონიდან (ინგლისი) აფრიკაზე შემოვლით ბომბეიმდე (ინდოეთი) 19.710 კილომეტრი უნდა გაევლოთ, არხის გახსნის შემდეგ ეს გზა 8410 კილომეტრზე მეტით შემცირდა.

გიბრალტარის სამხედრო-საზღვაო ბაზის ძლიერებას მნიშვნელოვნად ამცირებს ის გარემოება, რომ ალჰესირასის ბუხტის დასავლეთ ნაპირზე, გიბრალტარიდან დაახლოებით 11 კილომეტრის მანძილზე, დგას ესპანეთის პატარა ქალაქი ალჰესირასი, რომელსაც ამ უკანასკნელ ხანებში დიდად ამაგრებენ. ასევე ამაგრებენ გიბრალტარის ჩრდილოეთით, ესპანეთის მოსაზღვრე ტერიტორიას. გიბრალტარს საფრთხეს უქმნის ესპანეთის მაროკოს პატარა ქალაქი სეუტა, რომელიც სრუტის მოპირდაპირე ნაპირზე დგას. იგი გიბრალტარიდან დაშორებულია 27 კილომეტრით. სეუტას სამართლიანად ეძახიან ხმელთაშუა ზღვის დამკეტი ინგლისური ბოქლომის გასაღებს.

ესპანეთმა არაერთხელ წამოაყენა გიბრალტარის დაბრუნების საკითხი. პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს, მიუხედავად იმისა, რომ გერმანია ჰპირდებოდა ესპანეთს ყოფილი იმპერიის აღდგენას, იგი მაინც ცდილობდა გიბრალტარი და ტანჟერი ანტანტასთან მოლაპარაკების გზით დაებრუნებინა. 1917 წელს პრიმო დე რივერამ, რომელიც მაშინ კადიქსის სამხედრო გუბერნატორი იყო, წინადადება წამოაყენა სეუტას გიბრალტარზე გაცვლის შესახებ. 1919 წ. პარიზის კონფერენციის დროს, როცა იმუშავებდნენ ვერსალის საზავო პირობებს, ესპანეთის პრემიერი რომანენოსი ამაოდ ცდილობდა გიბრალტარისა და ტანჟერის დაბრუნების მიღწევას ვილსონის დახმარებით.

ესპანეთმა, რომელიც ამჟამად არამეომარი ქვეყანაა, გასული წლის ივნისში მოახდინა ტანჟერის საერთაშორისო ზონის ოკუპაცია და ნოემბერში იგი ესპანეთის მაროკოს შეუერთა.

ესპანეთის პრესაში კვლავ დიდ პროპაგანდას ეწევიან გიბრალტარის დაბრუნებისა და საერთოდ ფილიპე II-ის დროინდელი ესპანეთის იმპერიის აღდგენისათვის.

იყო დრო, როცა გიბრალტარის სრუტეზე ყოველდღიურად 40-მდე გემი გადიოდა, სხვადასხვა მიმართულებით, მათგან უმრავლესობა ინგლისის ბაირაღით. ამ ხომალდებს ინგლისისათვის ეგვიპტიდან, ინდოეთიდან, ინდონეზიიდან, ავსტრალიიდან, ახალი ზელანდიიდან მიჰქონდათ სურსათი და ნედლეული, ხოლო ინგლისიდან იმავე გზით გაჰქონდათ სამრეწველო საქონელი. ახლა სავაჭრო გემები სრუტეზე აღარ ჩანან. მათთვის ეს გზა საშიში გახდა. 1940 წ. 1 მაისს ინგლისის მთავრობამ განკარგულება გასცა, რომ ინგლისის სავაჭრო გემები აღმოსავლეთში წავიდნენ ვასკო-დე-გამას გზით, აფრიკის კონტინენტის შემოვლით.

კ. კალანდაძე

ა. ბონდარევი
საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის სამხედრო განყოფილების გამგე.

# თვითეული კომუნისტი მოვალეა შეისწავლოს სამხედრო საქმე

საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ჩვენმა დიდმა ბელადმა და მასწავლებელმა ამხანაგმა სტალინმა დაგვისახა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის გენიალური გეგმა. ამასთან ერთად ამხანაგმა სტალინმა ერთერთ მთავარ ამოცანად დაგვისახა ყოველმხრივ განვამტკიცოთ სსრ კავშირის თავდაცვა და წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო ძლიერება, მიგვითითა, რომ „მთელი ჩვენი ხალხი ვიყოლიოთ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში".

ასრულებდნენ რა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებს და ამხანაგ სტალინის მითითებებს, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში ცოტა მუშაობა როდი გასწიეს მშრომელთა აღსაზრდელად მუდმივი მობილიზაციური მზადყოფნის სულისკვეთებით, წითელი არმიისათვის რეზერვების მოსამზადებლად და ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების პრაქტიკულ ამოცანათა გადაწყვეტისათვის მთელი ძალების დასარაზმავად.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები (ბოლშევიკებისა) განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ იმას, რომ ყველა კომუნისტი და, პირველ რიგში, პარტიული აქტივი სწავლობდეს სამხედრო საქმეს და თავდაცვითი სპეციალობების დაუფლებაში მაგალითს აძლევდეს უპარტიო მშრომელთ. ამჟამად რესპუბლიკის 50 რაიონში და ქალაქებში პარტიის საქალაქო კომიტეტებთან და რაიკომებთან შექმნილია 70-ზე მეტი სასწავლო ჯგუფი, რომელშიც სამხედრო საქმეს სწავლობს პარტიული აქტივი — დაახლოებით 3.000 კაცი. მათ შორის არიან საქართველოს კ. პ. (ბ) საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების მდივნები, განყოფილებათა გამგეები, ინსტრუქტორები, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები, საბჭოთა დაწესებულებების ხელმძღვანელები, საწარმოთა დირექტორები და სხვ. მეცადინეობა სწარმოებს თვეში ოთხჯერ, კვირაში ოთხ-ოთხი საათის განმავლობაში. პროგრამა ნავარაუდევია 135 საათისათვის. მასში შეტანილია ტაქტიკა, სამწყობრო მომზადება, იარაღის მატერიალური ნაწილისა და ტოპოგრაფიის საფუძვლების შესწავლა. პარტაქტივის სამხედრო მომზადება ტარდება ისეთ პირობებში, რომლებიც მაქსიმალურად უახლოვდება საფრონტო ვითარებას. ტაქტიკური მეცადინეობის ჩასატარებლად მინდვრად გასვლა სავალდებულოა. ამ მუშაობის დაყენებაში დიდ დახმარებას გვიწევენ ჯარის ნაწილები, რომლებიც გამოჰყოფენ ხოლმე გამოცდილ მასწავლებლებსა და მეთაურებს და სასწავლო-მატერიალურ ნაწილს. კარგად გვეხმარებიან აგრეთვე ადგილობრივი სამხედრო ორგანოები.

რაიონებიდან, რომლებმაც პირველებმა მოაწყეს პარტიული აქტივის სამხედრო სწავლების საქმე, საუკეთესონი არიან: საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის, სტალინის რაიკომები და ახალციხის რაიკომი. კიროვის რაიონში პროგრამა უკვე მთლიანად გავლილია და ჩატარებულია გამოშვება, რომელმაც კარგი შედეგი მოგვცა. სწავლება მთავრდება სტალინის რაიონშიც.

პარტიული აქტივის სამხედრო მეცადინეობა კარგად არის მოწყობილი საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის, ორჯონიკიძის, 26 კომისრის სახელობის რაიკომებში, ქუთაისის რაიკომში, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, ფოთის საქალაქო კომიტეტებში და საქართველოს სს რესპუბლიკის მრავალ სხვა ქალაქსა და რაიონში.

მთელ რიგ რაიონებში სამხედრო სწავლება მოწყობილია არა მარტო მამაკაცთათვის, არამედ ქალებისთვისაც პარტიულ-კომკავშირული აქტივიდან. მაგალითად, თელავის რაიონში ჩამოყალიბებულია ქალთა 4 სპეციალური ჯგუფი სამედიცინო დების, ტელეგრაფისტებისა და ტელეფონისტების მოსამზადებლად. ამ ჯგუფებში 95 ქალი სწავლობს. ქუთაისში, წყალტუბოსა და ლუქსემბურგში შექმნილია ქალთა ჯგუფები სამედიცინო დების მოსამზადებლად. მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ რაიონებში პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ქალთა პარტიულ-კომკავშირული აქტივის სამხედრო სწავლების საქმეს. ამ საქმის შეუფასებლობა საზიანოა და შეუწყნარებელი. პარტიული აქტივის სამხედრო სწავლება პროგრამის ფარგლებით არ იზღუდება. ბევრი საქალაქო კომიტეტი და რაიკომი სისტემატურად ატარებს ლექციებსა და საუბრებს პარტიული აქტივისათვის თეორიულ და სამხედრო-ისტორიულ საკითხებზე. ზოგიერთი პარტიული კაბინეტი პარტაქტივს ამ საქმეში დიდ დახმარებას უწევს.

ქ. თბილისის სტალინის პარტრაიკომი რაიპარტაქტივისათვის სისტემატურად ატარებს ლექციებს თეორიულ და სამხედრო-ისტორიულ საკითხებზე. მაგალითად, წაკითხულ იქნა ლექციები: „მარქსიზმ-ლენინიზმი ომისა და არმიების შესახებ", „თეთრ-ფინელებთან ომის შესახებ", „საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ" და სხვ. ანალოგიური ლექციები და მოხსენებები ტარდება აგრეთვე ქ. თბილისის კიროვის, ახალციხის რაიონებში და საქართველოს სსრ სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

პარტიული აქტივის მაგალითის მიხედვით კომუნისტებმა უფრო აქტიურად იწყეს სამხედრო საქმის შესწავლა. არასრული ცნობებით, ამჟამად თავდაცვა-ავიაქიმის დანაყოფებში ახალი კომპლექსური პროგრამების მიხედვით ვოროშილოვისებური მსროლელის სახელწოდებაზე ნორმებს აბარებს 3.000-მდე კომუნისტი. ბევრი კომუნისტი სწავლობს საფრენოსნო საქმეს, ხელჩართულ ბრძოლას, ცხენოსნობას, ყუმბარტყორცნას, ეუფლება სათხილამურო სპორტს, ავტომოტოსაქმეს, ალპინიზმს და სხვ.

შეიძლება მოვიყვანოთ ბევრი მაგალითი იმისა, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ კომუნისტთა სამხედრო სწავლებას. მაგალითად, ქ. თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ახალ ფაბრიკაში შექმნილია 13 სასწავლო ჯგუფი ვოროშილოვისებური მსროლელების მოსამზადებლად ახალი პროგრამის მიხედვით. ამ ჯგუფებში 117 კომუნისტი და კომკავშირელი სწავლობს. ჯგუფები უკვე ამთავრებენ პროგრამას. გავლილი აქვთ 80 საათზე მეტი. სასწავლო ჯგუფების ხელმძღვანელები არიან კომუნისტები ამხ. გ. თოფურია, სტახანოველი, თადარიგის უმცროსი მეთაური, ა. ბალდასაროვი, სტახანოველი, თადარიგის უმცროსი ლეიტენანტი, მათუზოვი, დერნოვსკი და სხვ. ისინი კარგად ატარებენ ჯგუფების მეცადინეობას.

კომუნისტთა და კომკავშირელთა სამხედრო სწავლება კარგად არის დაყენებული აგრეთვე თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში, აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობის სტამბაში (ქ. სოხუმი), ახალციხის რაიონის კოლმეურნეობა „წითელ მესაზღვრეში", ქუთაისის რაიონის საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში, ზუგდიდის რაიონის გეჭკორის სახელობის კოლმეურნეობაში და სხვ.

მაგრამ ჯერჯერობით ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია, რაც პარტიულმა ორგანიზაციებმა გადადგეს კომუნისტთა და პარტიული აქტივის სამხედრო სწავლების სერიოზულად დაყენების საქმეში. საჭიროა განვამტკიცოთ და გავაფართოოთ დაწყებული საქმე და, რაც მთავარია, იგი ბოლომდე მივიყვანოთ. სამხედრო საქმის დაუფლება პარტიული აქტივის ერთერთი მთავარი და გადაუდებელი ამოცანაა, ვინაიდან მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებასა და სამოქალაქო მოსახლეობის სამხედრო აღზრდაში შემდგომი წარმატება მნიშვნელოვნად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ თვითეული კომუნისტი და, პირველ რიგში, ხელმძღვანელი პარტიული აქტივი რამდენად დაეუფლება სამხედრო საქმის საფუძვლებს. სამხედრო საქმე რომ ეცოდინება, პარტიული აქტივი უფრო ადვილად და უკეთესად უხელმძღვანელებს თავდაცვითი მუშაობის დაყენებას თავის ფაბრიკაში, ქარხანაში, საწარმოში, დაწესებულებაში, კოლმეურნეობაში, რაიონში. მას არსებითად შეეძლება სათავეში ჩაუდგეს მასების სამხედრო აღზრდას.

ამავე დროს ჯერ კიდევ საკმაოდ არის ფაქტები, როდესაც ცალკეული პარტორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელები მასობრივ-თავდაცვით მუშაობას არ სთვლიან პარტიული მუშაობის განუყრელ ნაწილად, ამ საქმეს აკისრებენ მხოლოდ საზოგადოებრივ-თავდაცვით ორგანიზაციებს, არ ეხმარებიან მათ მუშაობაში და არ ცდილობენ, რომ პარტიული აქტივი სისტემატურად იმაღლებდეს სამხედრო ცოდნის დონეს და თავდაცვითი ორგანიზაციების მუშაობაში თავისი მონაწილეობით მაგალითს აძლევდეს მშრომელთა ფართო მასებს და განსაკუთრებით ახალგაზრდობას და იზიდავდეს მათ სამხედრო ცოდნის დაუფლებისათვის.

მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებში ცოდნის დაუფლებასთან ერთად პარტიული აქტივი ბეჯითად და გულმოდგინედ უნდა სწავლობდეს სამხედრო საქმის საფუძვლებს, გაცნობილი იყოს სამხედრო ისტორიას, სამხედრო ტექნიკას და სამხედრო ორგანიზაციას. ეს განსაკუთრებით საჭიროა ახლა, როდესაც ჩვენ ვიმყოფებით რთულ საერთაშორისო ვითარებაში, რომელიც აღსავსეა ყოველგვარი მოულოდნელობით. მეორე იმპერიალისტური ომის ვითარებაში, რომელიც უფრო ჩაღდება და ფართოვდება, პარტიული აქტივისა და თვითეული კომუნისტის მიერ სამხედრო საქმის შესწავლას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. ამავე დროს, სამხედრო საქმის შესწავლისას ჩვენ განუხრელად უნდა ვხელმძღვანელობდეთ იმით, რომ „სერიოზული ომისათვის გაძლიერებული სამხედრო მზადება მოითხოვს არა კვეთებას, არა მოწოდებას, არა საბრძოლო ლოზუნგს, არამედ ხანგრძლივ, დაძაბულ, გულმოდგინე და დისციპლინირებულ მუშაობას მასობრივი მასშტაბით".*).

ახსოვთ რა დიდი სტალინის მითითებანი კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ, საქართველოს პარტიული ორგანიზაციები (ბოლშევიკებისა) დასძლევენ ნაკლოვანებებს სამხედრო საქმის სწავლების დაყენებაში და ყველა ზომებს მიიღებენ იმისათვის, რომ თვითეული კომუნისტი, და პირველ რიგში პარტიული აქტივი, თვითეული კომკავშირელი გულმოდგინედ სწავლობდეს სამხედრო საქმეს და ჰქონდეს ერთერთი სამხედრო სპეციალობა. ამით ჩვენ კიდევ უფრო მეტად განვამტკიცებთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სამხედრო ძლიერებას და ჩვენი ხალხის მობილიზაციურ მზადყოფნას.

*) ლენინი, ტომი XXX, გვ. 385.

# როგორ მივფრინავდით

## მამაცი საბჭოთა აერნაოსნების ამხ. ნევერნოვისა და გაიგეროვის ნაამბობი

**კოლივანი** (ნოვოსიბირსკის ოლქი), 22 მარტ. (ელვა. საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). დღეს საკდესის კორესპონდენტი ჩავიდა კოლივანის რაიონის სოფელ შეიკინოში, რომლის 13 კილომეტრზე 16 მარტს 69 საათისა და 30 წუთის ფრენის შემდეგ დაეშვნენ მამაცი საბჭოთა აერნაოსნები ბ. ა. ნევერნოვი და ს. ს. გაიგეროვი.

აერნაოსნებმა ამხ. ნევერნოვმა და გაიგეროვმა თავიანთი გაფრენის შესახებ შემდეგი გვიამბეს:

— ჩვენ მოსკოვიდან გამოვფრინდით 13 მარტს 15 საათსა და 44 წუთზე. ჩვენს წინაშე დასახული იყო ამოცანა ხანგრძლივი დაკვირვება მოგვეხდინა ციკლონის მიმყოლი საჰაერო მასების ტრანსფორმაციაზე და გადაგვეჭარბებინა სიშორისა და ხანგრძლივობის მთელი რიგი საერთაშორისო რეკორდები 900 და მეტი კუბმეტრი მოცულობის აეროსტატებისათვის.

თავდაპირველად ჩვენი საჰაერო ბურთობი სამხრეთისაკენ წავიდა, შემდეგ აღმოსავლეთისაკენ. ჩვენ გადავუარეთ ტამბოვს, კირსანოვს, ჩრდილოეთიდან შემოვუარეთ პენზას. ორ დღეს არქტიკული ჰაერის მძლავრ ნაკადში ვიმყოფებოდით.

15 მარტს 00 საათსა და 15 წუთზე ჩვენ გადავუარეთ კუიბიშევს, გადავსერეთ ვოლგა და განვაგრძობდით ფრენას აღმოსავლეთისაკენ. იმავე დღეს 16 საათზე, დაახლოებით 4 ათას მეტრ სიმაღლეზე, ურალის ქედს მივუახლოვდით. გრიგალისებური ქარი მთებისაკენ მიგვერეკებოდა. გადავწყვიტეთ თავი დაგვეღწია ღრუბლებისათვის. დავეშვით 900 მეტრამდე. მოულოდნელად ჩვენს წინაშე კლდე აღიმართა. აეროსტატი ამ კლდისაკენ მიჰქროდა საათში 100 კილომეტრი სისწრაფით. საჭირო გახდა მიგვეღო სიფრთხილის ყოველგვარი ზომა, გადაგვეყარა ბალასტი. შემსუბუქებულმა ბურთობმა კვლავ იწყო მაღლა ასვლა. ავედით 4.000 მეტრ სიმაღლეზე, რომლის დროსაც აეროსტატი თითქმის მთის ფერდობს ეხებოდა. საშიში უღელტეხილი იმ მომენტში გავიარეთ, როდესაც მზე უკვე ჰორიზონტს გადაღმა მიიმალა.

15 მარტს მთელი ღამის განმავლობაში ჩრდილოეთ ყაზახეთში მივფრინავდით. გარიჟრაჟმა ომსკის რაიონში მოგვისწრო. დღისით ფრენა უფრო მშვიდობიანად მიმდინარეობდა. ჩვენ საშუალება გვქონდა წარმატებით განგვეგრძო სამეცნიერო დაკვირვება. თერმომეტრი 27 გრადუს ყინვას გვიჩვენებდა. რეგულარულად ვსაუზმობდით და ვსადილობდით. თერმოსებში საჭმელი კარგად იყო შენახული.

ღამემ ციმბირის ყრუ ტაიგაში მოგვისწრო 1.000 მეტრ სიმაღლეზე. ბალასტი უკვე თავდებოდა, ხოლო საჰაერო ბურთობს, რომელიც ყოველ წუთობით ცივდებოდა, სულ უფრო-დაუფრო მეტად ელეოდა ზევით ასვლის ძალა. ქარიშხალი, რომელიც თვით სტარტის ადგილიდან არ შენელებულა, ჩვენს აეროსტატს ყრუ ტაიგისაკენ, ულრან ტყისაკენ მიერეკებოდა. 13 საათსა და 14 წუთზე (მოსკოვის დროით) ჩვენ ხეებს წამოვედეთ. მოულოდნელად მონაქროლმა ქარმა ძლიერ მიახეთქა გონდოლა ჯირკვს, ჩვენ ორ მეტრ სიღრმის თოვლში ჩავარდით.

აეროსტატთან ორი დღე-ღამე გავატარეთ, ვინაიდან გონდოლის დაცემის დროს თხილამურები დაიმტვრა. აქ ჩვენ მრავალსაუკუნოვანი ხეების ქერქისაგან პრიმიტიული თხილამურები დავამზადეთ. ეს თხილამურები ჩინებული გამოდგა და ჩვენ 19 მარტს ვიწყეთ საცხოვრებელი ბინის ძებნა.

თითქმის სამი დღე-ღამის განმავლობაში ტაიგაში დავეხეტებოდით. კოცონს ვანთებდით და ღია ცის ქვეშ გვეძინა. ყინვა 30 გრადუსს აღწევდა. ქარიშხალი წინანდებურად მოსვენებას არ გვაძლევდა. ღამის წყვდიადში თოვლის საშინელი კორიანტელი იდგა. რადგან იმედი გვქონდა, რომ საცხოვრებელ ბინას მალე ვიპოვნიდით, ჩვენ თან წავიღეთ მხოლოდ ერთი დღის საყოფი სურსათი. მაგრამ ვინაიდან ძებნა გაჭიანურდა, სურსათის დაზოგვა მოგვიხდა. მესამე დღეს მხოლოდ რამდენიმე გალეტი დაგვრჩა.

21 მარტს, დილით, კოლივანის რაიონის სოფელ შეიკინოს წავაწყდით. თურმე ჩვენ ამ სოფელს 13 კილომეტრით ვყოფილვართ დაშორებული. ტაიგაში სამი დღის სიარულის დროს გაიგეროვს ოდნავ მოეყინა ხელი. სოფელ შეიკინოში მას სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. ადგილობრივი მცხოვრებნი ჩვენ გულთბილად შეგვხვდნენ. ახლა თავს მშვენივრად ვგრძნობთ, დაღლილობამ სავსებით გაიარა.

მთელი სამეცნიერო მოწყობილობა და საკონტროლო ხელსაწყოები სრულ წესრიგშია. ის პლომბებიც კი არ დაზიანებულა, რომლებიც ჩვენი სტარტის დღეს სსრ კავშირის ცენტრალური აეროკლუბის სასპორტო კომისრებმა ბაროგრაფებს დაადეს.

დავალება სავსებით შესრულებულია. ჩვენ მიერ მიღებული მასალები უდაოდ დიდ სამეცნიერო ინტერესს წარმოადგენენ. ფრენის ხაზით ჩვენ საერთოდ 3.200 კილომეტრზე მეტი გავიარეთ, ხოლო პირდაპირი ხაზით — დაახლოებით 2.800 კილომეტრი. ჩვენი აეროსტატის დაშვების ადგილას მოვიდნენ სასპორტო კომისრები. მათ აქტი შეადგინეს. ჩვენი გაფრენის შესახებ მთელი დოკუმენტები გაეგზავნება სსრ კავშირის ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის საავიაციო-სასპორტო კომისიას.

ხვალ ადგილობრივი მცხოვრებნი ჩვენი დაშვების ადგილას ტრანსპორტს ჰგზავნიან. აეროსტატს, გონდოლასა და მთელ მოწყობილობას მარხილებზე დატვირთავენ და ნოვოსიბირსკში გაჰგზავნიან.



„კრემლის კურანტები“ მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. სურათზე: სცენა მე-3 მოქმედებიდან.

# „კრემლის კურანტები“

## მარჯანიშვილის თეატრში

### ეპოქის ამსახველი პიესა

დღეს მარჯანიშვილის სახელობის თეატრი მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენებს „კრემლის კურანტებს“.

ნ. პოგოდინის პიესა „კრემლის კურანტები“ საბჭოთა დრამატურგიის ერთერთი თვალსაჩინო ნაწარმოებია. ავტორი დიდი დამაჯერებლობით გვიხატავს იმ პერიოდის რუსეთს, როცა სამოქალაქო ომები მიყუჩდა და ქვეყანა სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგა. გაპარტახებული სახალხო მეურნეობა დარჩა მემკვიდრეობად საბჭოთა რუსეთს, რომელიც, ერთი უცხო მწერლის სიტყვით, „შავბნელ წყვდიადში“ იყო გახვეული. კრემლის კურანტებიც-კი, რაც ავტორს სახელმწიფოებრიობის სიმბოლოდ აქვს გამოყვანილი, სდუმან. ინტელიგენციის ერთი ნაწილი მტრის მხარეზეა, საბოტაჟს ეწევა, ხოლო მეორე ნაწილი გზააბნეულია, თავის ადგილს ვერ პოულობს ახალ წყობილებაში და ასანთით ვაჭრობას არჩევს ბაზარში.

აი ამ ფონზე იშლება ნ. პოგოდინის პიესა. დიდი ლენინი ჰქმნის რუსეთის ელექტროფიკაციის გეგმას, აბამს ამ საქმეში სპეციალისტებს; ამუშავებიან კრემლის კურანტები, რომლებიც ახლა უკვე „ინტერნაციონალს“ უკრავენ, ამით ავტორი სიმბოლიურად გადმოგვცემს რუსეთის სახელმწიფოს აღდგენას, მაგრამ აღდგენას ახალი შინაარსით, ახალი მიზნებით.

„კრემლის კურანტების“ დადგმა დიდ სიძნელეს წარმოადგენს. თეატრმა უნდა შესძლოს ლენინის, სტალინის და ძერჟინსკის როლების სრულქმნილად გადმოცემა, ეპოქის სწორად ასახვა, გამოკვეთა ზაბელინისა, რომელიც მაშინდელი გზააბნეული ინტელიგენტების ტიპიური წარმომადგენელია, და მუშებისა და გლეხების სულიერი განწყობილების გადმოცემა.

თეატრი შეეცადა ამ ამოცანების გადაჭრას. თუ როგორ შესძლო მან ეს, ამას სპექტაკლი გვიჩვენებს.

რეჟისორი **ვ. ტაბლიაშვილი**

### ლენინის სახე

ლენინი მთელი ქვეყნის პროლეტარიატის აზრი და გრძნობაა, შეუდრეკელი ნებისყოფა, წმინდა გული და ნათელი გონება, სიმბოლო რწმენის, იდეის, მებრძოლი დაუნდობელი, რისხვა მჩაგვრელი კლასებისა, მშენებელი ახალი ქვეყნის—აი ზღვა სახეები, მოცემული ამ დიდ ადამიანში

მწერალი, დრამატურგი, არტისტი, პოეტი, მხატვარი თუ მოქანდაკე უდიდეს პასუხისმგებლობას გრძნობს, როდესაც ძერწავს მილიონ თვალით დანახულ ამ ადამიანის უდიდეს სახეს.

ბედნიერი ვარ, რომ ასეთ გრძნობას მეც განვიცდი. ჩემ წინ რთული ამოცანაა. მე მუდამ თვალწინ მიდგას ლენინი—ადამიანი, კაცობრიობის ბედნიერებისათვის მებრძოლი უდიდესი სიცოცხლე. მე, როგორც მსახიობმა, ამოცანად დავისახე სულ ახალი გრძნობებით, განუმეორებელი განცდებით ჩავწვდე ლენინის სახეს.

ლენინი სწუხს—ეს მთელი ქვეყნის წუხილია, ლენინი იცინის—ეს მთელი ქვეყნის ნათელი ღიმილია. ყოველივე ეს მასში მოცემულია სადად, უბრალოდ.

მე წილად მხვდა განვესახიერო სცენაზე ამ დიდი ადამიანის როლი. ამ ამოცანის არა ოსტატურად გადაჭრა დაუშვებლად მიმაჩნია.

**პ. კობახიძე**

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

### ზაბელინი

„კრემლის კურანტებში“ ზაბელინის როლს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ოქტომბრის რევოლუციის პირველ ხანებში, როცა რუსეთი ახალი ცხოვრების მშენებლობას იწყებდა, დიდი რუსი სპეციალისტი ინჟინერი ზაბელინი განზე გადგა, მას არ სწამს რევოლუცია, სოციალიზმი, მაგრამ მაინც არ შორდება თავის მიწა-წყალს. იგი ასანთებს ჰყიდის ქუჩაში.

მისთვის მოულოდნელად ზაბელინს იწვევენ კრემლში, ლენინთან და წინადადებას აძლევენ სათავეში ჩაუდგეს რუსეთის ელექტროფიკაციის საქმეს. ზაბელინი ყოველ წუთს დაპატიმრებას ელოდა, ის სულიერად დაცემული იყო. უცებ ასეთი ნდობა. მასში ეს იწვევს სულიერ გარდატეხას, ზაბელინი თანხმდება და შეუდგება მძიმე საქმიანობას.

ასეთია როლის სიუჟეტური მოხაზულობა. მსახიობისაგან ეს როლი, თავისი სირთულით მოითხოვს დიდ დაკვირვებას და მრავალფეროვან ნიუანსებს. ზაბელინი ქუჩაში, ზაბელინი ოჯახის უფროსი, რომელიც განიცდის თავისი ქალიშვილის ყოფაქცევის ტრაგედიას. ზაბელინი კრემლში, ზაბელინი სახელმწიფო მოღვაწე — ელექტროფიკაციის უფროსი. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზაბელინი ტიპიური წარმომადგენელია მაშინდელი დროის განსაზღვრული სოციალური ფენისა. ეს ერთის მხრივ მეტ გასაქანს აძლევს მსახიობს შემოქმედებითი დიაპაზონის გასაშლელად, მაგრამ მეორე მხრივ მოითხოვს მისგან მთელი სოციალური გაერთიანებული ჯგუფის ფსიქოლოგიურ განცდათა ტიპიურ ასახვას. აი ამ საზომით ვუდგებოდი ზაბელინის როლის განსახიერებას.

**შ. ღამბაშიძე**

რესპუბლიკის სახალხო არტისტი

## ახალი კინოფილმის — „ქაჯანას“ საზოგადოებრივი განხილვა

22 მარტს, საქართველოს კინოსტუდიამ მოაწყო ახალი საბავშვო კინოფილმის „ქაჯანას“ საზოგადოებრივი განხილვა. ფილმი გაკეთებულია ნ. ლომოურის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით (სცენარის ავტორები — გოგაძე და პიპინაშვილი, რეჟისორი კ. პიპინაშვილი, მთავარი ოპერატორი ფ. ვისოცკი, მუსიკა ა. მაჭავარიანისა).

ეს ფილმი წარმოადგენს საქართველოს კინოსტუდიის ახალგაზრდა კადრების პირველ, შეიძლება ითქვას, სადებიუტო ნაწარმოებს გარდა რამდენიმე ძველი მსახიობისა, ჩვენი ეკრანისა და სცენის გამოცდილი ოსტატებისა (ნ. ვაჩნაძე, ვ. ანჯაფარიძე, ს. ბაღაშვილი), ფილმში სულ ახალგაზრდა ძალები, მათ შორის რამდენიმე ბავშვი მონაწილეობს.

საზოგადოებრივ განხილვაზე დამსწრეებმა ფილმი მოიწონეს. განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად რეჟისორის და ოპერატორის ნამუშევარს.

ყველამ ერთხმად მოიწონა აგრეთვე კომპოზიტორ ა. მაჭავარიანის მიერ ფილმისათვის დაწერილი მუსიკა. კომპოზიტორს ოსტატურად აქვს გამოყენებული ხალხური მუსიკის მდიდარი მელოდიები, რაც ორგანულად არის დაკავშირებული ფილმის შინაარსთან.

როლების შემსრულებელთაგან კარგი შეფასება მიიღეს ნატო ვაჩნაძემ (მართა), ვ. ანჯაფარიძემ (ბაბალე), ს ბაღაშვილმა (ძია ვანო), ა. ალაზნისპირელმა (ციკოლა), გვიშიანმა (ქადაგი) და სხვ.

განსაკუთრებით აღინიშნა ბავშვების თამაში. დაუდეგარ, ცელქ, მოუსვენარ, მაგრამ ჭკვიან სოფლელი პატარა გოგონას დაუვიწყარ და შესანიშნავ სახეს ჰქმნის ნორჩი მსახიობი, თბილისის მე-16 საშუალო სკოლის ფრიადოსანი მოწაფე ლეილა აბაშიძე. ნამდვილი „ქაჯანაა“, გლეხების საყვარელი ბიჭუნა, სწორედ ისეთი, როგორიც ნ. ლომოურსა ჰყავს დახასიათებული თავის მოთხრობაში, „ქაჯანას“ შემსრულებელი ავჭალელი მოწაფე თენგიზ ამირანაშვილი. კარგად თამაშობენ დანარჩენი ბავშვებიც.

„ქაჯანა“ მისი დამდგმელი კოლექტივის დიდი გამარჯვებაა.

**დ. ლ.**

## ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში

**26 მარტს, დღის 8 საათზე,** ლ. პ. ბერიას სახელობის სას.-სამ. ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის საჯარო სხდომაზე დოც. **ვ. ს. ბახტაძე** გააკეთებს მოხსენებას თემაზე „მარქსისტული იდეების შესახებ რუსეთში 40-50-იან წლებში“. მოხსენება შესდგება სას.-სამ. ინსტიტუტის მთავარ კორპუსში, აუდიტორია № 41.

## რადიოგადაცემა დღეს

12.00—ვოკალური მუსიკის კონცერტი სსრ კავშირის ხელოვნების ოსტატთა შესრულებით; 12.45 — საუბარი რუსულ ენაზე: „ჯავშნიანი ქვეითი ჯარი“; 12.58 — დროის შემოწმება; 13.00 — უკანასკნელი ცნობები; 13.15—ნაწყვეტები დუნაევსკის ოპერიდან „ოქროს ველი“; 14.15 — აზერბაიჯანული მუსიკის კონცერტი; 16.50 — გადაცემათა პროგრამა ქართულ და რუსულ ენებზე; 17.45—საუბარი ქართულ ენაზე: „რა კლასები არსებობს საბჭოთა კავშირში; 18.00 — კონცერტი კომპოზიტორ მენდელსონის და შუბერტის ნაწარმოებიდან; 18.58 — დროის შემოწმება; 19.00 —უკანასკნელი ცნობები ქართულ და რუსულ ენებზე; 19.30 ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი; 20.00—უკანასკნელი ცნობები; 21.15—კონსულტაცია მარქსიზმ - ლენინიზმის შემსწავლელთა დასახმარებლად; 22.00 — უკანასკნელი ცნობები; 22.05 — საქრადიოკომიტეტის სიმფონიური კონცერტი; 23.30 — კონცერტი-ესტრადა; 00.10 — უკანასკნელი ცნობები ქართულ ენაზე; 00.30—უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება.

**შენიშვნა:** ყველა გადაცემა იწარმოებს ქალაქის ქსელით.

# ინგლის-გერმანიის ომი

**ბერლინი,** 23 მარტი (საკდესი). უმაღლესი სარდლობა იუწყება: მსუბუქმა ყუმბარმშენებმა გუშინ იერიში მიიტანეს კოლჩესტერისა და პიტერჰედის სანავსადგურო ნაგებობებზე. ინგლისის სამხრეთ სანაპიროსთან წარმატებით მივიტანეთ იერიში ნაღმიან ტრალერებზე. მტრის ავიაცია გერმანიის ტერიტორიაზე არ გამოჩენილა.

**ლონდონი,** 23 მარტი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ გუშინ გერმანიის ავიაციის მოქმედებას ინგლისში მეტად შეზღუდული ხასიათი ჰქონდა. ყუმბარა დააყარეს აღმოსავლეთ ინგლისის ცალკეულ პუნქტებს, სადაც გამოწვეულია ერთგვარი მატერიალური ზარალი და მცირეოდენი მსხვერპლი.

დღეს, დილით, გერმანიის თვითმფრინავების მნიშვნელოვანი რაოდენობა მოუახლოვდა სამხრეთ-დასავლეთ ინგლისის ერთერთ ქალაქს, მაგრამ ძლიერმა გადამღობმა სროლამ ისინი იძულებული გახადა უკან დაბრუნებულიყვნენ.

უკანასკნელი კვირის განმავლობაში ინგლისის ავიაცია რამდენჯერმე დაესხა თავს გერმანიის სამხედრო-საზღვაო ბაზებს და რურის ოლქის ზოგიერთ ქალაქს. ემდენისა და ვილჰელმსჰაფენის დოკები ორჯერ იქნა ბომბარდირებული. კილის დოკებში ბომბარდირების შემდეგ ბევრგან დიდი ხანძარი გაჩნდა. ბრემენის გემსაშენების რაიონში მოხდა ძლიერი აფეთქებანი. ლორიანში სამჯერ იქნა ბომბარდირებული წყალქვეშა ნავების ბაზა. ჰელზენკირხენში, სინთეზური ნავთის ქარხნებში დიდი ხანძარი გაჩნდა. სხვა რაიონებშიც მოწინააღმდეგეს სერიოზული ზარალი მივაყენეთ.

**ნიუ-იორკი,** 23 მარტი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ გერმანიის ავიაციის უკანასკნელი თავდასხმების შედეგად პლიმუტი გაცილებით უფრო მეტად დაზიანდა, ვიდრე ინგლისის რომელიმე სხვა ქალაქი. პლიმუტის მრავალი ქუჩა [illegible] გაუვალი გახდა. ყველაზე მეტად დაზიანდა ქალაქის საქმიანი უბნები. დანგრეულია საზოგადოებრივი სარგებლობის მრავალი შენობა, ყუმბარსაფრები და დიდძალი საცხოვრებელი სახლი. ფიქრობენ, რომ 21 მარტს, ღამით, ქალაქს დააყარეს 20 ათასზე მეტი ცეცხლგამჩენი ყუმბარა. პლიმუტში გრძელდება ნელი მოქმედების ყუმბარათა აფეთქება.

## საომარი ოპერაციები ხმელთაშუა ზღვის აუზში

**რომი,** 23 მარტი (საკდესი). იტალიის სარდლობა იუწყება: ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში იტალიის თვითმფრინავებმა ჩასძირეს მტრის ერთი გემი, რომლის წყალწყვა 10 ათას ტონას უდრიდა. იტალიის ავიაგამანადგურებელთა ერთერთი შენაერთი რამდენჯერმე დაესხა თავს ჰერაკლიონის აეროდრომს (კრეტის კუნძული).

აღმოსავლეთ აფრიკაში 21 მარტს, საღამოს, მოგერიებულ იქნა ინგლისელთა იერიში კერენის სექტორში. იტალიის თვითმფრინავებმა ამ სექტორში ყუმბარა დაუშინეს მტრის გამაგრებულ პოზიციებს. საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულ იქნა ინგლისის სამი თვითმფრინავი, იტალიის ორი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

**ლონდონი,** 23 მარტი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა არაერთი იერიში მიიტანეს იტალიის პოზიციებზე კერენის რაიონში. ბრიტანეთის ერთი ავიაესკადრილია დღის განმავლობაში 23-ჯერ დაესხა თავს კერენს და 14 ტონა ყუმბარა დააყარა მას. არსებული ცნობების თანახმად, კერენში თავმოყრილი იტალიის ძალების სარდალი გენერალი ლორენცინი მოკლულია ყუმბარის ნამსხვრევით. მტერმა დიდი ზარალი ნახა. ტყვედ წამოყვანილია 130 იტალიელი.

გონდარში ინტენსიური ბომბარდირების შედეგად ცეცხლი გაუჩნდა ყაზარმებსა და სამხედრო საწყობებს. სამხრეთ აფრიკის ყუმბარმშენებმა იერიში მიიტანეს მატარებლებზე ჯიბუტი - ადის-აბებას ხაზზე. ერთ მატარებელს ცეცხლი გაუჩნდა. მთელ რიგ პუნქტებში სროლა აუტეხეს მტრის შეჯგუფებულ ჯარსა და მოტოტრანსპორტს.

ინგლისის ჯარმა დაიკავა კარგად დაცული იტალიის საგუშაგო ნეგელი, რომელიც 90 მილზე მდებარეობს იაველოს აღმოსავლეთით. ნეგელზე გადის გზა, რომელიც მოგადიშოს ადის-აბებასთან აკავშირებს.

**ბერლინი,** 23 მარტი (საკდესი). უმაღლესი სარდლობა იუწყება: გუშინ გერმანიის ავიაციამ ორჯერ ინტენსიურად დაუშინა ყუმბარა ინგლისის ნავსადგურ ლა-ვალეტას კუნძულ მალტაზე. ყუმბარები პირდაპირ მოხვდა გემებსა და საზენიტო დანადგარებს. აჯედაბიის (კირენაიკის) მახლობლად გერმანიისა და იტალიის ავიაგამანადგურებლებმა სროლა აუტეხეს მტრის თვითმფრინავებს და ყუმბარა დააყარეს შეჯგუფებულ ჯარს.

ხმელთაშუა ზღვაში გერმანიის თვითმფრინავებმა ძლიერ დააზიანეს ინგლისის 4 გემი.

## ინგლისის ღონისძიებანი ქიმიური ომის შემთხვევისათვის

**ლონდონი,** 22 მარტი (საკდესი). ინგლისის შინაგან საქმეთა და შინაგანი უშიშროების მინისტრმა მორისონმა წინადადება მისცა ინგლისის ყველა აფთიაქის პატრონს მონაწილეობა მიიღონ ქიმიური ომის შემთხვევისათვის მოსამზადებელ ღონისძიებათა ჩატარებაში. ყოველ იმ მეაფთიაქეს, რომელიც მიიღებს ამ წინადადებას, მიეცემა კანზე მომქმედ მომწამლავ ნივთიერებათა დამწვრობის საწინააღმდეგო საჭირო მედიკამენტები. ქიმიური განგაშის შემთხვევაში ეს მედიკამენტები და თავდაცვის მარტივი ინსტრუქცია გამოფენილი იქნება აფთიაქის შესავალთან.

## გერმანიის კომუნიკე ჰიტლერისა და ბარდოშის მოლაპარაკების შესახებ

**ბერლინი,** 22 მარტი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო მიუნხენიდან გადმოგვცემს კომუნიკეს, რომელშიაც ნათქვამია, რომ გუშინ ჰიტლერმა საგარეო საქმეთა მინისტრის რიბენტროპის თანდასწრებით მიუნხენის რეზიდენციაში მიიღო უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბარდოში. მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰიტლერს წარუდგინა თავისი მხლებლები.

## საომარი ღონისძიებანი გიბრალტარში

**ბორდო,** 23 მარტი (საკდესი). როგორც ოფის (ჰავასის) სააგენტო იუწყება, გიბრალტარში დიდი გამოცოცხლებაა. იქ ატლანტის ოკეანიდან ჩავიდა 10 სატვირთო გემი, რომლებსაც ორი მებადრაგე ხომალდი და ერთი საესკადრო ნაღმოსანი ახლავთ. სიმაგრეში სდგამენ დიდი ყალიბის ახალ შორმსროლელ ქვემეხებს. ყაზარმები სავსეა ჯარით, ნაპირზე ადგილის უქონლობის გამო, ახლადმოსული ჯარისკაცები სევაჭრო გემებში რჩებიან, რომლებიც მცურავ ყაზარმებად არის გადაქცეული.

**ლონდონი,** 23 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისში ჩავიდა კანადელ ინჟინერთა და მუშათა ჯგუფი, რომლებიც გიბრალტარის გასამაგრებლად მუშაობდნენ. მათ ნაცვლად კანადიდან მუშათა სხვა ჯგუფი გაიგზავნა.

## მდგომარეობა ტანჟერში

**ნიუ-იორკი,** 23 მარტი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, ტანჟერში ყოველდღიურად ადიდებენ ესპანეთის გარნიზონს. მაროკოელ ჯარს ნაჩქარევად სცვლიან ესპანელი ჯარით. ესპანეთის მთავრობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ტანჟერის საერთაშორისო ზონაში სიმაგრეები აგებული არ იქნებაო. დიპლომატიურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ტანჟერში ესპანელთა კონტროლის დაწესების შედეგად გატანილია იმ კაპიტალის დიდი ნაწილი, რაც ადგილობრივ საწარმოებში იყო დაბანდებული.

ევროპის ქვეყნების კუთვნილი ფასიანი ქაღალდებისა და ოქროს უმეტესობა, რაც ტანჟერში ინახებოდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიგზავნა. მნიშვნელოვნად შემცირდა საქმიანი აქტივობა და გადიდდა უმუშევრობა. პროდუქტების ფასი გადიდდა, პროდუქტების მარაგი გამოილია. განსაკუთრებით საგრძნობია შაქრისა და ქარაქის ნაკლებობა. კვირაში ერთ დღეს აკრძალულია ხორცის მოხმარება. ტანჟერის საერთაშორისო [illegible]

## უკანასკნელი ცნობები

### საომარი მოქმედება ალბანეთში

**ათენი,** 24 მარტი (საკდესი). [illegible]

იტალიის ავიაციის თავდასხმას სერიოზული ზარალი არ გამოუწვევია. ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა მტრის ერთი თვითმფრინავი ჩამოაგდეს. გარდა ამისა, იტალიის რამდენიმე სხვა თვითმფრინავი სერიოზულად დაზიანდა. ინგლისის არცერთი თვითმფრინავი არ დაზიანებულა.

## საქართველოს არქიტექტორთა საზეიმო შეკრება

საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავისადმი იყო მიძღვნილი საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის პლენუმის 22 მარტის სხდომა, რომელიც არქიტექტორთა საზეიმო შეკრებად გადაიქცა. გარდა არქიტექტორებისა, სხდომას დაესწრნენ მხატვრები, მეცნიერების მუშაკნი, ხელოვნების მუშაკნი და ხელოვნების სხვა დარგების წარმომადგენელნი.

სხდომა გაიხსნა მ. შავიშვილის შესავალი სიტყვით. თ. ფოცხიშვილმა გრძელი მოხსენება გააკეთა თემაზე: „საქართველოს არქიტექტურა 20 წლის მანძილზე“.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას საქართველოში რამდენიმე არქიტექტორი იყო და მათში მხოლოდ ერთი ქართველი. ამ 20 წლის მანძილზე გამოიზარდნენ არქიტექტორთა ახალი კადრები. ახლა კავშირი 200 არქიტექტორს აერთიანებს, უმრავლესობა თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში გაიზარდა. ბევრმა მათგანმა უკვე მოიხვეჭა მოწინავე არქიტექტორის სახელი. ასეთები არიან ა. ქურდიანი, მ. შავიშვილი, მ. ჩხიკვაძე, შ. თავაძე, ს. სატუნცი, ნ. ნეპრინცევი, ვ. ურუშაძე, ი. ზაალიშვილი და სხვები. ახალი კადრების აღზრდაში დიდი დამსახურება მიუძღვით აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილს, პროფ. შ. ამირანაშვილს, არქიტექტურის აკადემიკოს ნ. სევეროვს, პროფ. ა. კალგინს, პროფ. ს. მაჭავარიანს, დოც. ი. კირკესალს, პროფ. ი. ნიკოლაძეს, პროფ. ი. შარლემანს და სხვ.

საქართველოს არქიტექტორებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს სამოქალაქო და სამრეწველო ობიექტების, ქალაქების და საბჭოთა მეურნეობების დაგეგმარებაში. განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცა თბილისის რეკონსტრუქციას. აშენდა ახალი სახლები, გაიმართა მთელი არქიტექტურული ანსამბლები. მომხსენებელმა ჩამოთვალა არქიტექტორთა თვალსაჩინო ნამუშევრები, როგორც თბილისში, ისე სათანადო ცენტრებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

დასასრულ ამხ. თ. ფოცხიშვილმა დასახა ამოცანები, რომლებიც დგას საქართველოს არქიტექტორების წინაშე.

სიტყვებით გამოვიდნენ არქიტექტორები პ. ნიკოლაიშვილი, ი. ზაალიშვილი, რ. აგაბაბიანი, ვ. ქორქაშვილი და მ. შავიშვილი.

სხდომის შემდეგ გაიმართა კონცერტი.

## ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში

**25 მარტს,** საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლის სალექციო დარბაზში, პარტიულ - სამეურნეო აქტივისათვის ეკონომიკის საკითხების ლექციათა ციკლიდან რუსულ ენაზე ჩატარდება ლექცია თემაზე: **„მრეწველობის დაგეგმვის დაფინანსებისა და მმართველობის ორგანიზაცია“**. ლექციას წაიკითხავს ამხ. **ნაქელაძე.**

ბილეთების შეძენა შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლის ბიბლიოთეკაში (ლენინის ქ., № 41).

## პარტკალენდარი

**საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1523098, გაცემული ვასილ ივანეს-ძე **კილასონიას** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2864816, გაცემული კლიმენტი კონდრატის-ძე **ბოკერიას** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

## დღეს კინოებში

**კინოებში:** **რუსთაველის სახ.** — „ვალერი ჩკალოვი“. **დღისით** — „სტეფანე რაზინი“, **ოქტომბერი** — „ვალერი ჩკალოვი“, **დამკვრელი** — „ვალერი ჩკალოვი“. **დღისით** — „გაზაფხულის ნაკადი“. **კომკავშირელი** — „კონცერტ-ვალსი“. **დღისით** — „მხიარული ახალგაზრდობა“. **სპარტაკი** — „გაზაფხულის ნაკადი“, **ლუქსემბურგის სახ.** — „კონცერტი-ვალსი“. **დღისით** — „მეთოპერისკოპე“, **ბერიას სახელობის კულტურის სახლი** — „დუნაიზე“, **26 კომ. სახ.** — „გიული“. **დღისით** — „სალავათ იულაევი“. **კომინტერნი** — „სალავათ იულაევი“. **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“, **განთიადი** — „სოროჩინის ბაზრობა“, **დღისით** — „ჩაპაევი“. **წითელი არმიის სახლი** — „ძაღლი ომში“, „ლიანდაგებზე“. **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — „უმაღლესი ჯილდო“, **მეცნიერება და ცოდნა** — „საბჭოთა ხელოვნება“.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე **პ. რატიანი**



**თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

25 მარტს
მე-6 აბ. მე-9 წარმ.
1. **ჯამბაზები**
2. **საბალეტო დივერტისმენტი**

26 მარტს
მე-5 აბ მე-10 წარმ.
**ლელო კეცხოველი**

27 მარტს
მე-6 აბ. მე-10 წარმ.
**პიკის ქალი**

დასაწყისი საღამოს 8 ს.

**რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**
1940-41 წ. წ. სეზონი

25 მარტს
1 აბ. მე-8 წარმ.
**უკანასკნელი რაინდი**

26 მარტს
მე-2 აბ. მე-8 წარმ.
**უკანასკნელი რაინდი**

დასაწყისი საღ. 8 ს. და 30 წ.

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში დღის 12 საათიდან საღ. 9 საათამდე, აგრეთვე სარაიონო სალაროებში. ლენინის რაიონი—საბჭოს ქ. № 143 ა „გლავგასტრონომის“ მაღაზია № 9. 26 კომისართა—შაუმიანის მოედ. № 1 „თბილვაჭრობის“ მაღაზია № 1.

**ქ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი**

25, 26 და 27 მარტს
ნ. პოგოდინი
**პრემიერა**
**კრემლის კურანტები**
პიესა 3 მოქმ. 13 სურათად.

თარგმანი—**გ. ფრონისპირელისა**, დადგმა—**ვახტანგ ტაბლიაშვილისა**, მხატვრები: **მ. აბჟანდაძე, ბ. ქვლივიძე, ი. ჭავჭანიძე.** კომპოზიტორი—**ა. კერესელიძე**, დირიჟორი—**კ. სირბილაძე**, კოსტუმები—**გ. მეტონიძისა.**

დეკორაციები შესრულებულია **დ. ნადიბაშვილის** მიერ.

**თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

კვირას, 30 მარტს, ახალი დადგმა
**ვ. დოლიძე**
**ქეთო და კოტე**
დასაწყისი საღ. 8 ს.

**დაკარგულია**

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის სახ. რაიონის სარეგისტრაციო ბარათი № 152 გაცემული „ავტოტრაქტორსბიტის“ მიერ.

ელისაბედ ხოფერია შვილებით კატუშა, ვალოდია, ნინო, ცაცუ, თათუშა, გოგუცა, ბაბუცა, სიძით ვ. ცინცაძით, შვილიშვილებით იუწყება **კონსტანტინე ბაბუნიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 25/III კალინინის, 69. 11234

მშობლები ელენე და ბიჭიკო, ბებიები ქეთევან, ბარბალე იუწყებიან პატარა **გოგი ნაკაშიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 25/III 6 ს. გამოსვენება ყაზბეგის, 36. 11232

ბ. ჩხეიძე, შ. ლოლომაძე, ა. ოგანიანი, კ. სოხაძე, ალ. ლომთაძე, ს. ოდიაშვილი იუწყებიან პატარა **ცისანა შალვას-ასულ გოგიას** გარდაცვალებას. 11222

ბიძა თომა, ბიცოლა ანეტა, ბიძაშვილები კობა, თინა, ხახნია, ბესო, რძლები შუშანა, სალომე, ლიანა მეგრელიშვილები, სიძე მიხეილ ყვარელაშვილი იუწყებიან **დათიკო ევიფანეს-ძე მეგრელიშვილის** გარდაცვალებას. 11225

ვანო და თამარ ნანიაშვილები, სერგო და ჯემალ ბუაჩიძეები იუწყებიან **მარო გიორგის-ასულ ნანიაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 25 მარტს, 6 ს. გრიბოედოვის ქ. № 22. დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე.

ალექსანდრა და ლავრენტი სარალიძეები შვილებით, მარიამ და თამარ კახაბრები იუწყებიან **ნინო თოფურიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 25/III 6 ს. მარის II ჩიხი, 3. 11237

საქ. ფინსახკომის საშტატო სამმართველოს და თბილისის ფინგანის საშტატო სექტორის თანამშრომლები და ქალაქის რაიფინგანების შტატების რევიზორები იუწყებიან **ხატულა (ცისანა) გოგიას** გარდაცვალებას. 11235

ცოლი სონია გარაყანიძე-მირაქოვისა იუწყება **სერგო გრიგოლის-ძე მირაქოვის** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7½ ს. ნიკოლაძის I ჩიხი, 14. 11230

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღე-მევენახეობის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტები იუწყებიან **პავლე ლევანის-ძე ლობჯანიძის** გარდაცვალებას. 11219

დები თალიკო, მარგარიტა, სიძეები ანტონ მჭედლიშვილი, ალექსანდრე ებრალიძე შვილებით იუწყებიან **დათიკო ევიფანეს-ძე მეგრელიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 25/III 6 ს. ბარნოვის, 129, ვაკის სასაფლაოზე. 11220

დეიდა დარდო სიხარულიძე შვილით ვანოთი, რძლით თამარით, ქალიშვილებით: მარო, ქსენია, თამარ, სიძით ნიკოლოზ ბერძენიშვილით იუწყება **დათიკო მეგრელიშვილის** გარდაცვალებას. 11233

ხვიჩია, ტატიშვილი, პრეობრაჟენსკაია, ლაიშვილი, კანდელაკი, სამადაშვილი, ზამბახიძე, აროშიძე, დაპრუნდაშვილი, ყურაშვილი, კობახიძე, თხილაიშვილი, ბირკაია, ცანავა, ქარქაშაძე იუწყებიან **ვასილ ფავლენიშვილის** გარდაცვალებას. 11236

კეცხოველი, ციხისთავი, ხარაძე, სახოკია, მთვარაძე, კახაძე, საყვარელიძე, მელია, ხუციშვილი, ერქომაიშვილი, მუშკუდიანი, ნადირაძე, შენგელია, ძნელაძე, გოგელაშვილი იუწყებიან **ნინო სანაძის** გარდაცვალებას. 11241

ფრიდონი, მურმანი და ნოდარი, მეუღლე ზინა, შვილები გიორგი, მარო, რძალი ალექსანდრა, შვილიშვილები იუწყებიან **კონსტანტინე გიორგის-ძე ბაბუნიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 25/III 6 ს. კალინინის, 69, კუკიის სასაფლაოზე. 11242



**რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები:** პასუხისმგებელი რედაქტორის—3—62—26; პ/მგ. რედაქტორის მოადგილისა—3—63—03; პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ/მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; **განყოფილებისა:** პარტიული და პროპაგანდის—3—81—84; სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40; ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84; სამხედროსი—3—57—61; წერილების—3—73—24; პ/მგ. მორიგისა და გამომუშავების—3—81—65; გამომცემლობის — 3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

აწყობილი და მატრიცირებულია ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიულ კომბინატ „კომუნისტში“, თბილისი, ლენინის ქ. № 28; დაბეჭდილია სტამბა „ზარია ვოსტოკაში“, რუსთაველის პროსპექტი № 36. უე 6036